საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგორიც ბოჭდ-ვუტი სიფცვაა, ფცეილებით და ჭიტებით ბუტ-თის გაფანა ყვეოა ეკადრისიბაგზე ესაძაგლესია.

ორშაბათი, 2 მაისი. 2022 წ. №55 (9393) ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 1 ლარი

ლმერთო, შეაყვარე ქართველს საქართველო!

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, საქართველოს მოსახლეობა 3 688 600 ადამიანს შეადგენს, რაც წინა წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით 1.1 პროცენტით ნაკლებია.„საქსტატის“ ინფორმაციით, აღსანიშნავია, რომ 2021 წელს დადასტურდა უარყოფითი ბუნებრივი მატება (-13 960) და უარყოფითი მიგრაციული სალდო (-25 966).

სავალალო სტატისტიკა!

2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, საქართველოს მოსახლეობა 3 688 600 ადამიანს შეადგენს, რაც წინა წელთან შედარებით 1.1 პროცენტით ნაკლებია!

„2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, საქართველოს მოსახლეობის 59.7 პროცენტი ცხოვრობს საქალაქო დასახლებებში. ამასთან, თბილისის მოსახლეობა მთლიანი მოსახლეობის თითქმის მესამედს შეადგენს. 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, 0-14 წლის მოსახლეობის წილი მთელ მოსახლეობაში 20.8 პროცენტს შეადგენს, შრომისუნარიან ასაკში მყოფი მოსახლეობის წილი (15-64 წლის ასაკობრივი ჯგუფი) – 63.7 პროცენტს, ხოლო 65 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის წილი – 15.5 პროცენტს.

2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, კაცების რიცხოვნობამ 1 770.0 ათასი შეადგინა, ხოლო ქალების რიცხოვნობამ – 1 918.7 ათასი. ამასთან, საქართველოს მოსახლეობის 48 პროცენტი კაცი, ხოლო 52 პროცენტი – ქალია. სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის მაჩვენებელი 92-ს შეადგენს, რაც იმას ნიშნავს, რომ ყოველ 100 ქალზე 92 კაცი მოდის. აღსანიშნავია, რომ 30 წლამდე ასაკში კაცების რიცხოვნობა აღემატება ქალების რიცხოვნობას, ხოლო 30 წლის ასაკიდან სახეზე გვაქვს საპირისპირო სურათი, რაც გამოწვეულია კაცებთან შედარებით ქალების უფრო მაღალი სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობით. წინა წელთან შედარებით, 2021 წელს სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა 2.0 ერთეულით შემცირდა და 71.4 წელი შეადგინა, მათ შორის კაცებისათვის – 67.5 წელი, ხოლო ქალებისათვის – 75.4 წელი. 2022 წლის 1-ელი იანვრის მდგომარეობით, საქართველოს მოსახლეობის მედიანური ასაკი შეადგენს 38 წელს.

2021 წელს, ემიგრანტების რიცხოვნობამ 99 974 კაცი შეადგინა, რაც წინა წელთან შედარებით 34.6 პროცენტით მეტია, ხოლო იმიგრანტების რიცხოვნობა 17.8 პროცენტით შემცირდა და 74 008 კაცი შეადგინა. ამავე პერიოდში, იმიგრანტების 82.5 პროცენტი და ემიგრანტების 88.6 პროცენტი, შრომისუნარიან ასაკში მყოფ მოსახლეობას (15-64 წლის ასაკობრივი ჯგუფი) წარმოადგენენ. 2021 წელს, იმიგრანტების 53.4 პროცენტს, ხოლო ემიგრანტების 80.4 პროცენტს საქართველოს მოქალაქეები წარმოადგენენ“...

გრიგოლ აბაშიძე

არყოფნისაკენ!

...არყოფნისაკენ! არყოფნისაკენ!
ჩემს გასაფრენად ქრიან ქარები,
გიჟურ ქროლვაში გაქრობას ვჩქარობ,
უკვე გაშლილან იალქანები,
არარსებულთან
შესაერთებლად
სულმოუთქმელად მივექანები,

დე, დამიბრმაოს თვალები ელვამ,
იქუხოს ცამ და მეხმა იჭექოს,
მე იმ ქროლვაში გაოგნებული,
ვერ გავიგონებ ამ ქვეყნის ექოს,
მე დღემდე უცნობ საწვავზე ვფიქრობ,
ჩემს უსასრულოდ გრძელ გზას რომ ეყოს.

მეტეორების თქეშშიც რომ მოვხვდე,
აღარ ვიზრუნებ თავდასაცავად,
გაუკვლეველი გზის გასაკვლევად
სხვა ძალას ვცდი და ჩავრთავ სხვა ძრავას -
ჩემს ხორცშეუსხმელ ლამაზ ოცნებებს
უხვად დავხარჯავ საგზალ-საწვავად.

იმ ოცნებების ძალით გამაფრენს
ის ცეცხლი გულზე რომ მიკიდია,
არარაობის ბოლო სადგური
არარსებული ქვეყნის კიდეა,
მაგრამ სურვილი – უფრო დიდია!

და აი, უკვე, არყოფნისაკენ
სულმოუთქმელად მივექანები,
გიჟურ ქროლვაში გაქრობას ვჩქარობ,
შავად გაშლილან იალქანები,
არყოფნისაკენ! არყოფნისაკენ!
ჩემს გასაფრენად ქრიან ქარები.

(ნაწყვეტი ლექსიდან)

ლუკა მაისურაძე ევროპის ჩემპიონია



სოფიაში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატზე ძიუდოში ახალგაზრდა ლუკა მაისურაძე (90 კგ) ოქროს მედლის მფლობელი გახდა.ფინალურ დაპირისპირებაში ქართველმა სერბი დარკო ბრასნიოვიჩი აშკარა უპირატესობით დაამარცხა. ეს ლუკასთვის პირველი ოქროს მედალია (დიდებში) კონტინენტის პირველობაზე, მანამდე მას ევროპის ჩემპიონატზე კადეტებში და იუნორებში ჰქონდა გამარჯვება მოპოვებული. მაისურაძე მსოფლიოს 2019 წლის და ევროპის 2019, 2020 წლების ბრინჯაოს მედლის მფლობელია (81კგ-ში). ფინალურ ბლოკში ბრინჯაოს მედლისთვის იჭიდავა გურამ თუშიშვილმა და დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა!

ტურნირზე ბრინჯაოს მედლის მოპოვების შანსი ჰქონდა ვარლამ ლიპარტელიანსაც (100კგ), მაგრამ ნაკრების კაპიტანი რეპეჟაში ესპანეთის სახელით მოასპარეზე ნიკოლოზ შერაზადიშვილთან დამარცხდა. ევროპირველობას ადრეულ ეტაპზე გამოეთიშნენ ილია სულამანიძე და სოფიო სომხიშვილი.

კონტინენტის პირველობაზე, საბოლოოდ საქართველოს ნაკრების ანგარიშზე ორი ოქროს და ორი ბრინჯაოს მედალია. საქართველოს ნაკრებმა გუნდური მესამე ადგილი დაიკავა.

თემის გაგრძელება იხილეთ მე-10 გვ.ზე

გავაძლიეროთ ჯარი, გადავარჩინოთ ქვეყანა!

ყველა ნიჭზე ძლიერია ქვეყნის დაცვის ნიჭი!

ირაკლი ღარიბაშვილი: გილოცავთ საქართველოს თავდაცვის ძალების დღეს! ჩვენი ისტორია და დღევანდელობა, რომელიც გამოწვევებით იყო და არის აღსავსე, ჩვენგან მოითხოვს კიდევ უფრო მეტი შემართებით გავაგრძელოთ ჩვენი ჯარის გაძლიერება

გილოცავთ საქართველოს თავდაცვის ძალების დღეს! მინდა, ეს დღე განსაკუთრებულად მივულოცო თავდაცვის ძალების წარმომადგენლებს, ჩვენს საამაყო ჯარს, ჩვენს ოფიცრებს, სერჟანტებს, რიგით სამხედროებს, რომლებიც ასრულებენ ყველაზე მნიშვნელოვან საქმეს, იცავენ ჩვენს ძვეყანას და მის თავისუფლებას, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ვაზიანში, IV ქვეითი ბრიგადის ბაზაზე, თავდაცვის ძალების დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

მთავრობის მეთაურის შეფასებით, დიდი პატივი და პატრიოტიზმია, ერთგულად ემსახურო შენს ქვეყანას, იყო მისი ერთ-ერთი მთავარი საყრდენის – ქართული ჯარის ნაწილი.

„დიდი სიამაყის განცდაა, შენი წვლილი შეიტანო მის განვითარებასა და გაძლიერებაში. მინდა, ყველა სამხედროს მადლობა გადაგიხადოთ საქართველოს სამსახურისთვის. დღევანდელი დღე მინდა მივულოცო ჩვენს დაუმარცხებელ დაჭრილ სამხედროებს, რომლებიც ჩვენს ქვეყანას ვაჟკაცურად იცავდნენ ყველა ფრონტზე, მათ შორის იცავდნენ მსოფლიო მშვიდობას და სტაბილურობას. თავდაცვის ძალების დღეს მინდა, განსაკუთრებული მადლიერება გამოვხატოთ ჩვენი ვეტერანების მიმართ, რომლებიც ურთულესი გამოწვევების პირობებში ერთგულად ემსახურნენ ჩვენს ქვეყანას და ჯარს და პირნათლად მოიხადეს თავიანთი ვალი ჩვენი ქვეყნის წინაშე. არ არსებობს თავდაცვის ძალების არც ერთი მიმართულება, სადაც ჩვენმა სამხედროებმა და ვეტერანებმა არ შექმნეს ბრძოლის, შემართების, გმირობის, პროფესიონალიზმის საამაყო მაგალითები. ძალიან დიდია მათი დამსახურება ჩვენი ქვეყნის წინაშე. ასევე, ძალიან მიხარია, რომ მათ კვალდაკვალ, ჩვენ გვყავს ახალგაზრდა სამხედროები, მაღალი დონის სამხედრო განათლებით, დიდი მოტივაციით და შემართებით, რომლებიც გამოცდილი მებრძოლების გვერდით იმაღლებენ თავიანთ პროფესიონალიზმს და განასახიერებენ ჩვენს მომავალს. თავდაცვის ძალების დღეს უნდა გავიხსენოთ ჩვენი დაღუპული გმირი მეომრები. ქედს ვიხრი მათი ხსოვნის წინაშე. ისინი ყოველთვის დარჩებიან ჩვენი ჯარის და საზოგადოების მეხსიერებაში, როგორც პატრიოტიზმის და თავდადების მაგალითი“, – განაცხადა პრემიერმა.

მთავრობის მეთაურმა მადლობა გადაუხადა საერთაშორისო პარტნიორებს, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ნატოს წევრ ქვეყნებს ქართული ჯარის გაძლიერების მხარდაჭერისთვის.

„ჩვენი ისტორია და დღევანდელობა, რომელიც გამოწვევებით იყო და არის აღსავსე, ჩვენგან მოითხოვს, კიდევ უფრო მეტი შემართებით გავაგრძელოთ ჩვენი ჯარის გაძლიერება, ჩვენი ჯარის ტრანსფორმაციის პროცესი. დასახული გრძელვადიანი გეგმის მიხედვით ჩვენ შევძლებთ ჩვენი ჯარის კიდევ უფრო გაძლიერებას, მზადყოფნისა და თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებას, მნიშვნელოვნად გაზრდას. დღევანდელ დღეს მინდა, ასევე მადლობა გადავუხადო ჩვენს მეგობრებს, პარტნიორებს - აშშ-ს, ნატოს წევრ ქვეყნებს, ყველას, ვინც მხარს უჭერს, ეხმარება ჩვენი ჯარის გაძლიერებას. დღეს, თავდაცვის ძალები ნდობის კუთხით, ეკლესიასთან ერთად, არის ყველაზე ავტორიტეტული ინსტიტუტი საქართველოში. ეს, რა თქმა უნდა, თქვენი, თითოეული სამხედროს დამსახურებაა. კიდევ ერთხელ მადლობას გიხდით ერთგული სამსახურისთვის, გისურვებთ წარმატებას და გამარჯვებას ყველგან. ღმერთი იყოს თქვენი მფარველი!“ - განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

პირად შემადგენლობას თავდაცვის ძალების დღე პარლამენტის თავმჯდომარემ შალვა პაპუაშვილმა, თავდაცვის მინისტრმა ჯუანშერ ბურჭულაძემ და თავდაცვის ძალების მეთაურმა, გენერალ-მაიორმა გიორგი მათიაშვილმა მიულოცეს.

სსტტც „დელტასა“ და სს „თამ“ თბილავიამშენის ერთობლივი ძალისხმევით ახლად მოდერნიზებულმა UH-1 იროკეზის ტიპის ვერტმფრენებმა ვაზიანის სამხედრო ბაზას საქართველოს დროშით გადაუფრინეს. ასევე, ბაზას გადაუფრინეს თავდაცვის ძალების კუთვნილმა განახლებულმა „სუ-25“ ტიპის მოიერიშე თვითმფრინავებმა.

ღონისძიების დასასრულს სტუმრებმა სამწყობრო მოედანზე გამოფენილი საქართველოს თავდაცვის ძალების შეიარაღებაში არსებული ქართული და უცხოური ტექნიკა და შეიარაღება დათვალიერეს. პარალელურად, ბრიგადის ტერიტორიაზე, საწვრთნელი თვითმფრინავიდან, სპეციალური ოპერაციების ძალების სამხედრო მოსამსახურეებმა საპარაშუტო ნახტომი განახორციელეს, რომლის დროსაც საქართველოს სახელმწიფო დროშა და თავდაცვის ძალების დროშა გაშალეს.

ღონისძიებას აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების წევრები, დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები და თავდაცვის ძალების დაჭრილი სამხედრო მოსამსახურეები დაესწრნენ.

ღონისძიების ოფიციალური ნაწილის დაწყებამდე საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა, პარლამენტის თავმჯდომარემ შალვა პაპუაშვილმა, თავდაცვის მინისტრმა ჯუანშერ ბურჭულაძემ და თავდაცვის ძალების მეთაურმა, გენერალ-მაიორმა გიორგი მათიაშვილმა ბრიგადის ტერიტორიაზე არსებული მემორიალი გვირგვინით შეამკეს და წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპული სამხედროების ხსოვნას.

30 აპრილი საქართველოს თავდაცვის ძალების დღეა. 31 წლის წინ, 30 აპრილს, დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში პირველად, წვევამდელები სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაიწვიეს. სწორედ ეს მოვლენა გახდა საქართველოს თავდაცვის ძალების დღის შექმნის საფუძველი.

მიშას პარტია იმდენ ადამიანს ვერარ აბროვებს, რომ „FREE მიშას“ კლაკატი მთლიანად გაშალოს!

რუსეთ-უკრაინის ომის პარალელულად, მივიწყებულმა ექს-პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა საზოგადოებას თავი კვლავ შეახსენა. შეახსენა ისე, რომ ფეხზე დააყენა „სახალხო დამცველი“ და არასამთავრობო ორგანიზაციები.

ომბუდსმენის განცხადებით, სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა არათუ დასტაბილურდა, არამედ გაუარესდა, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩატარებული მკურნალობა ეფექტიანი არაა. **ნინო ლომჯარიას** მოსაზრებას არასამთავრობოებიც იზიარებენ და ერთობლივ განცხადებას ავრცელებენ, სადაც წერია, რომ სააკაშვილს სამედიცინო დახმარება ქვეყნის ფარგლებს გარეთ ესაჭიროება.

ანალიტიკოსი **ირაკლი ლატარია** აცხადებს, რომ სააკაშვილს ჯანმრთელობის მხრივ არაფერი აწუხებს და ის მხოლოდ დეპრესიაშია. დეპრესია კი გამოწვეულია იმით, რომ მას ციხის გისოსები და ბადრაგები არ მოსწონს.

„სააკაშვილს არაფერი სჭირს. მან როდესაც გაიაზრა, რომ ციხეში დიდი ხანი მოუწევს ყოფნა, უბრალოდ დეპრესია დაეწყო. თურმე ციხის გისოსები და ბადრაგები არ მოსწონს და მითხარით ერთი პატიმარი, ვინც ამბობს, რომ ციხეში მომწონსო. სასამართლოში ხან ისეთ ჯანზეა, ლამის ფანჯრებიდან გადმოხტეს

და როგორც კი ადოკატები ეტყვიან, თავი მოიმკვდარუნოს, ეგრევე ჯანმრთელობის პრობლემა ექმნება. ტიპი 21-ე საუკუნის აფერისტია. მის მიერ შექმნილ ციხეში რომ ყოფილიყო, მარტო დეპრესია კი არ დაეწყებოდა, ყველაფერი დაემართებოდა“, – განაცხადა ლატარიამ.

მისივე თქმით, სააკაშვილს ომის ფონზე ყურადღება მოაკლდა და კვლავ საკუთარ ჯანმრთელობას იყენებს, რათა ისე მიიქციოს საზოგადოების ყურადღება. ანალიტიკოსის თქმით, სააკაშვილმა რამდენიც არ უნდა აბაკუნოს ფეხები, მის დასახსნელად ქუჩაში ხალხი აღარ გავა.

ხელისუფლებამ სააკაშვილის ყველა თანამოაზრეს მისცა უფლება ციხეში შესულიყო და უთხრა, რაც გინდათ ის ქენითო. ამის მუხედავად, სააკაშვილზე მიბმული ადამიანებიც კი ვერ ამბობენ, რომ მას რაიმე სერიოზული დაავადება სჭირს. თამარ ჩერგოლეიშვილმა ძალიან კარგი რამ თქვა, ვციტირებ მის სიტყვებს 24

ნუთუ ამდენი ცვედანი დაძრწის საქართველოს მიწაზე?!

ერთი დედიკოს და მისი ცნობილი ბიჭის სევდიანი ამბავი

მიშიკოს დედიკოს უთქვამს, ჩემი შვილიკო ციხის ეზოში სეირნობაზე უარს იმის გამო ამბობს, რომ მავთულხლართის ყურება ნერვულ სისტემას უზიანებსო, ისეთი ფაქიზი სულისა და იმავდროულად, ისეთი თავისუფლების მოყვარული ადამიანია, რომ ძალიან, უძალიანესად უზიანებსო.

კაცად, უფრო სწორად, მამრობითი სქესის ადამიანად რომ დაიბადები, მთელი ცხოვრება ორი რამისთვის უნდა იყო მზად — **ომში წასასვლელად და ციხეში ჩასაჯდომად.** სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რადგან წინასწარ არავინ იცის, ცხოვრება რას უმზადებს, კაცი მუდმივ რეჟიმში შინაგანად უნდა იყოს მზად ამა თუ იმ განსაცდელის მისაღებად. **ამის მერე გაირკვევა, კაცად დაიბადე, არაკაცად, თუ „პუსტა-პუსტად“** (თუ ვინმე იკითხავს, ეს „პუსტა-პუსტა“ რაღა არისო, მოკლედ მოვუჭრი, ორი დავითის, ბაქრაძისა და უსუფაშვილის „პოლიტიკურ“ პორტრეტებს დახედეთ-მეთქი).

ცხოვრების პირველ ეტაპზე, ბავშვობაში, მშობლის და მეტადრე დედის უპირველესი მოვალეობაა (ახალს არაფერს ვამბობ), შვილი საუკუნეებით დამკვიდრებულ წესებს აზიაროს, **თავისი პასუხისმგებლობა ქვეყნის, რომელსაც სამშობლო ჰქვია და ადამიანის, ანუ გარშემომყოფთა მიმართ, სრულად გაასიგრძეგანებინოს.** ასწავლოს, რა არის ღირსება, რა არის მოვალეობები და სად გადის უფლებების ზღვარი. რძიანი სულგუნი, შუშა კიტრი და დედიკო-შვილიკოს ძახილი „გაზრდისთვის“ შეიძლება სასარგებლო იყოს, მაგრამ აღზრდას (არც ამ შემთხვევაში ვამბობ რაიმე ახალს) სულ სხვა კრიტერიუმები განსაზღვრავს.

ყველაზე „უფრო“ მაინც ის მიკვირს, რომ „დედიკოს გმირი“ ცხოვრების ორივე გამოცდაში უკვე მაგრად რომ არის ჩაჭრილი — „მთავარსარდალი“ თვითმფრინავის **დანახვაზე** „ომიდან“ რომ გაიძცევა და **კრუნჩხვებში ჩავარდნილი** სუნთქვას ვერ მოიბრუნებს და მაინც „გმირად“ რომ შერაცხავ და ამის მერე, ციხის გისოსების და მავთულხლართის **დანახვაზეც** რომ ისევ ნერვული სპაზმები, ანუ **კრუნჩხვები ემართება** — ეს მხდალი და ლაჩარი, ეს არარაობა როგორ უნდა გეიმედეგოდეს და როგორ უნდა გევაუკაცეგოდეს? **ნუთუ ამდენი მორალურად ცვედანი დაძრწის ჩვენი ლამაზი საძართველოს მიწაზე?**

კარგად მესმის, როცა პრობლემა ზედაპირზე დევს, თემის სიღრმეებში ჩასვლამ მკითხველში ცოტა უხერხულობაც შეიძლება გამოიწვიოს, ამიტომ, **შეხსენებისთვის**, მხოლოდ ერთსღა ვიტყვი - ყველა კონკრეტული შემთხვევით დადასტურებული ჭეშმარიტებაა, რომ **„ყველაფერი ბავშვობიდან იღებს სათავეს“.** მსოფლიოს ისტორიამ უამრავი შემთხვევა იცის, ე.წ. დედიკოს ბიჭები და მორალურად ცვედანები როგორ ყალიბდებოდნენ სადისტებად და ტირანებად. ეს თემა ლიტერატურისა და კინოხელოვნების ერთ-ერთ დიდ სეგმენტს წარმოადგენს, რადგან მასშტაბური და უაღრესად საჭირბოროტო პრობლემაა. ფსიქოლოგები, როგორც წესი, იმ დასკვნამდე მიდიან, რომ

სხვისი უბედურებით სიამოვნების მიღება ცუდი აღზრდის შედეგად განვითარებული სულიერი სიმწირისა და სხვა სისუსტეების კომპენსაციაა.

ყოველივე ზემოთქმული რომ შევაჯამო, მიხეილ სააკაშვილის აღზრდაზე ზრუნვა ძალიან დაგვიანებულია (ეს ისე, სხვათა შორის, თუნდაც — ხუმრობით) და **საქართველოს გულზე მავთულხლართები რომ გაავლებინა რუს ოკუპანტს და ათიათასობით ადამიანს მზე რომ დაუბნელა და ცხოვრება გაუმწარა** (მათ შორის ციხეებში) **და ეს რომ არ აწუხებს, უფრო სწორად - ფეხებზე ჰკიდია და ციხის ეზოს მავთულხლართი „ნერვულ სისტემას რომ უზიანებს“ და გისოსების მიღმა დანახული ცა რძიანი სულგუნის. შუშა კიტრის და საალდგომო კვერცხის ჭამის მადას უკარგავს, სწორედ ამის გამო არის ციხეში ჩასალპობი.**

რა არის ექვსი წელი ასეთისთვის?

ბიძინა დვალი

01.05.2022 წ.

სასამართლომ „ფორმულას“, „მთავარი არხისა“ და ხაბეიშვილის წინააღმდეგ სუს-ის უფროსის სარჩელი დააკმაყოფილა - GDI

„საძართველოს დემოკრატიული ინიციატივის“ ცნობით, თბილისის საძალაძო სასამართლოს სამოძალაძო საქმეთა კოლეგიის მოსამართლე ნანა შამათავამ გამოაცხადა გადაწყვეტილება საქმეზე „გრიგოლ ლილუაშვილი შპს „ფორმულას“, შპს „მთავარი არხის“ და ლევან ხაბეიშვილის წინააღმდეგ.“ სასამართლომ დააკმაყოფილა გრიგოლ ლილუაშვილის სარჩელი და შესაბამისად დაადგინა მის მიმართ ცილისწამების ფაქტი.

საქმე ეხება სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ხელმძღვანელის გრიგოლ ლილუაშვილის სარჩელს, რომლითაც მან სადავოდ გახადა შპს „ფორმულას“ და შპს „მთავარი არხის“ ეთერში გავრცელებული განცხადებები, რომლებიც დანაშაულებრივ სქემაში, ე.წ ქოლ-ცენტრების საქმეში, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის და მისი როგორც ამ უწყების ხელმძღვანელის სავარაუდო ფიგურირებას უკავშირდება.

„სამწუხაროდ, სასამართლომ არ გაიზიარა მედიის წარმომადგენლების პოზიციები, ხოლო შედეგად, მოსამართლე დაეთანხმა მოსარჩელეს და აღნიშნა, რომ ჟურნალისტის მიერ გაკეთებული განცხადებებით მოსარჩელეს შეელახა პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია“.

● ორგანიზაციაში მიიჩნევენ, რომ საყურადღებოა, რომ სასამართლო დავის მიმდინარეობისას დამატებით რამდენიმე ძირითადი პრობლემა გამოიკვეთა:

● მოსამართლემ სუს-ის ხელმძღვანელის სარჩელის მიმართ განსაკუთრებული ინტერესი გამოიჩინა და მსგავსი კატეგორიის საქმეების განხილვის პრაქტიკისგან განსხვავებით, არაორდინალურად სწრაფად, შემჭიდროებულ ვადებში, სარჩელის შეტანიდან ორ თვე ნახევარში განიხილა;

● მოსამართლემ არ დააკმაყოფილა მოპასუხე ტელეკომპანიების და დეპუტატის თითქმის არც ერთი შუამდგომლობა, მათ შორის შუამდგომლობები საქმის შეწყვეტასთან და მტკიცებულების დართვასთან დაკავშირებით;

● სასამართლომ არ მიიღო მხედველობაში, რომ სახეზე არ გვაქვს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული არც ერთი წინაპირობა, რომელიც განცხადების ცილისწამებლურად აღიარების შესაძლებლობას იძლევა. მათ შორის, არ დასტურდება ზიანი, რომელიც მოსარჩელეს მიადგა გავრცელებული განცხადებებით და მოსარჩელემ ვერც ის დაამტკიცა, რომ მოპასუხეები მოქმედებდნენ აშკარა და უხეში დაუდევრობით;

● მოსარჩელემ თავისი პოზიცია დაამყარა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს და ეროვნული სასამართლოების გადაწყვეტილებების მანიპულაციურ განმარტებებს, რაც სასამართლოს შეცდომაში შეყვანის მცდელობას წარმოადგენდა;

● სასამართლომ არ გაითვალისწინა მსგავსი გადაწყვეტილების მიღებით გამოწვეული საფრთხეები. მათ შორის ყურადღება არ გაუმახვილებია იმაზე, რომ სარჩელი შეტანილია სუს-ის ხელმძღვანელის მიერ, რომელსაც მედიაში გავრცელებული კრიტიკული მოსაზრებების მიმართ მეტი თმენის ვალდებულება გააჩნია.

საათი ჩვენ ვხედავთ, რომ სააკაშვილი ავად არის. ამან ხალხი ქუჩაში არ გამოიყვანა, აქედან გამომდინარე სააკაშვილი უნდა შეეგუოს იმას, რომ ის პატიმარია“. ფეხებს ტყუილად აბაკუნებს, ამ ბაკუნით არაფერი შეიცვლება და ტყუილად ფეხები დაეღლება.

თქვენს კითხვას რომ დავუბრუნდე, ის ფსიქიკურად შეშლილი ადამიანია. არ არის გამორიცხული, მალე ვნახოთ დაჩოქილი სააკაშვილი, რომელიც ტირილს დაიწყებს. ადამიანი შემოიპარა ქვეყანაში, რომელსაც განაცხადი აქვს გაკეთებული ევროკავშირის წევრობაზე. სულ რომ პატიოსანი ადამიანი იყოს, არაუნებში დამალული შემოიპარა და ამისთვის სასჯელი ხომ უნდა მოიხადოს?! მას მასაჟისტს და მკერდით მხატვარს ვერავინ შეუყვანს, ამას უნდა შეეგუოს. ისეთი ლაჩარია, რომ პატიმარიც კი ლაჩრობს, ეს ადამიანი ჩემი ქვეყნის მთავარსარდალი როგორ იყო“, — აღნიშნა **ირაკლი ლატარიამ**.

* * *

ანალიტიკოს **ლადო ბოჟაძის** თქმით, სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობის საკითხი არასამთავრობო ორგანიზაციების გადასაწყვეტი არაა და ამას სპეციალისტები უნდა წყვეტდნენ. მისივე განცხადებით, არც ერთ ექიმს არ უთქვამს, რომ ექსპრეზიდენტი უცხოეთშია გადასაყვანი.

„სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობის გარკვევა სამოქალაქო სექტორის გადასაწყვეტი არაა. ეს არის ექიმებისა და პროფესიონალების გადასაწყვეტი. არაერთი ექიმის შეფასება მოვისმინეთ, რომ პატიმარს საზღვარგარეთ გადაყვანა არ ესაჭიროება. მას აქვს ყველა პირობა იმისთვის, რომ მიიღოს საკვები, მედიკამენტები და იმკურნალოს. მკურნალობას შედეგი როგორ ექნება, როდესაც ადამიანი ჭამაზე უარს ამბობს. თუ ვინმე არის სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობით დაინტერესებული, უპირველესად ეს არის ხელისუფლება. მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება ისევ და ისევ ხელისუფლებისთვის არის საზიანო. მის ჯანმრთელობასთან დაკავშირებით, დღეს საზოგადოების რეაქციასაც კარგად ვხედავთ. მისი პარტია იმდენ ადამიანს ვეღარ აგროვებს, რომ „free მიშას“ პლაკატი მთლიანად გაშალონ. რატომ? — მისი ქმედებებიდან გამომდინარე. საოცარია, ნეტა რა დაავადებაზეა საუბარი, რომელიც საქართველოში არ ინკურნება? ასეთი რამ არ არსებობს. გასაგებია, სააკაშვილი რომელიც 9 წლის განმავლობაში პრეზიდენტი იყო და სულთანივით ცხოვრობდა, მისთვის ახლა ციხეში ჯდომა რთულად გადასატანია. არც ერთი პატიმარი არაა ბედნიერი, მათაც აქვთ ჯანმრთელობის პრობლემა, მაგრამ იხდიან სასჯელს და მათზე არავინ საუბრობს, რომ სადმე გადაიყვანონ. მესმის, ვიღაცისთვის შეიძლება ის განსაკუთრებული პატიმარია, მაგრამ კანონისთვის ის ისეთივე პატმარია, როგორც სხვა დანარჩენი“, — აღნიშნა for.ge-თან **ლადო ბოჟაძემ.**

ომის ფონზე საკუთარი ჯანმრთელობით საზოგადოების წინაშე თამაშობს თუ არა, ამ კითხვაზე ანალიტიკოსს ასეთი პასუხი აქვს:

„მისი მიზანი თავისუფლებაა. ახლა უფრო კარგად ვხედავთ, რა იყო მისი უკრაინიდან გამოპარვის მიზეზი. საბოლოო ჯამში, მას ჰქონდა მიზანი, რომ ამ პერიოდში სიტუაცია აერია, ყოფილიყო რევოლუცია და ხელისუფლება ისე გადაეყენებინა. მისი სურვილი იყო, რუსეთ-უკრაინის ომს საქართველო სააკაშვილის ხელისუფლებით შეხვედროდა. პირველი, რასაც გააკეთებდა, რუსეთთან ღია ომში ჩაერთვებოდა. მთელი მსოფლიო არა მარტო ბუჩაზე და მარიუპოლზე, არამედ თბილისსა და ქუთაისზე ილაპარაკებდა. მისდა საუბედუროდ და ჩვენდა სასიხარულოდ, მას არც რევოლუცია გამოუვიდა, არც მისი გამოყვანა მოხდა, პირიქით, კიდევ ერთი სისხლის სამართლის საქმე დაიმატა. არც ერთ საერთაშორისო ორგანიზაცია მის ჯანმრთელობის მდგომარეობას არ ეხმიანება. მხოლოდ მისი თანაპარტიელები ინტერესდებიან. პატიმრების უფლებები რომ ირღვეოდეს, ევროკავშირი კითხვარს გამოგვიგზავნიდა? — არა, რა თქმა უნდა. მას საკუთარი პარტიის გარდა, პოლიტპატიმრად არავინ თვლის, არც ერთი ოპოზიციური პარტიაც კი“, — აღნიშნა ანალიტიკოსმა.

ესაუბრა

ქეთი გიორგაძე

ყველამ თავის მამიდას მიხეიდოს!

ბოლოს და ბოლოს, არსებობს თუ არა უკრაინის ხელისუფლებაში კონკრეტული ჯგუფი, რომელიც საქართველოს და უკრაინას შორის დაპირისპირების ინსცენირებას ცდილობს? რა არის მათი მიზანი და რატომ უკავშირებს ამას საქართველოს ხელისუფლება „ნაციონალურ მოძრაობას“ და მიხეილ სააკაშ-

ედიშერ გვენეტაძე: უკრაინელი ხალხი ამ თახსირი პოლიტიკოსების ხელში მეცოდება!..

ვაჟა ბერიძე: უკრაინელი „მასტები“ აშკარა სისულელეებს ჩმახავენ!

პოლიტოლოგ **ედიშერ გვენეტაძის** თქმით, არსებობს გონივრული ეჭვი, რომ უკრაინის ხელისუფლებაში ადამიანების რაღაც ნაწილს, რომლებიც საქართველოს ხელისუფლების მიმართ განსაკუთრებულ აგრესიას იჩენენ **მიხეილ სააკაშვილი** და მათ შორის **დავით კეზერაშვილი** გარკვეულ თანხას უხდიან. პოლიტოლოგი არ გამორიცახვს, რომ კეზერაშვილი საქართველოში მოპარულ ფულს, არესტოვიჩს, არახამიას და სხვა მისნაირებს აძლევს, რათა გარკვეული თანხის სანაცვლოდ საქართველოს ხელისუფლებაზე შტურმი მიიტანონ და საერთაშორისო არენაზე გააშავონ.

„პოდოლიაკი, არესტოვიჩი, არახამია და ძმანი მისნი, მიუსედავად უკრაინაში რუსების მიერ დატრიალებული ჯოჯოხეთისა, საქართველოს ხელისუფლებისთვის იცლიან. თანაც ქართველ ხალხს ასწავლიან ჭკუას, ხელისუფლებაში ვინ უნდა მოიყვანონ და ვინ არა. მიხეილ სააკაშვილის საქართველოში ჩამოსვლა შემთხვევითი არ არის და ეს უკრაინაში დაწყებული ომის შემდეგ კიდევ უფრო კარგად გამოჩნდა. ის აქ ჩამოიყვანეს და უკრაინიდან გამოუშვეს, რადგანაც იცოდნენ, რუსეთი ომს იწყებდა. სააკაშვილს კი დავალება მიეცა, რომ საქართველოში გადატრიალება მოეხდინა და ქვეყანა ომში ჩაერთო.

ეს ვერ მოხდა, რადგანაც საქართველოს სპეცსამსახურებმა და ხელისუფლებამ სიზუსტით იმუშავეს. ამიტომ პოდოლიაკებს, არესტოვიჩებს, არახამიებს კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ. როგორც ჩანს, იქ მოხდა შეთანხმება, რომ სააკაშვილი უკრაინიდან წამოვიდოდა, აქ ამბებს დაატრიალებდა და საქართველოში პარალელურად გახსნილი ფრონტით, ალბათ, რუსეთის დასუსტება მოხდებოდა. ვინ დაწერა ეს სცენარი, ვისი მეშვეობით თამაშობს ეს ხალხი, არ ვიცი. ფაქტი ერთია, აქ დაინტერესებული ხალხია, რომლებსაც კარგად დაწერილი გეგმა ამოუყირავდათ. ახლა კი გაღიზიანებულები საქართველოს ხელისუფლების გაშავებას საერთაშორისო ასპარეზზე ახდენენ“, — ამბობს გვენეტაძე.

„საქართველოს ხელისუფლება დღემდე მუშაობს და ჩვენი მოსახლეობა ხედავს, ვისთან და რა გეგმასთან გვაქვს საქმე. ესენი წმინდა წყლის მოღალატეები არიან. ამ ხალხს საქართველოში იმ სისხლის დატრიალება და განმეორება უნდა, რომელიც დღეს უკრაინაში მიდის. გათვლა ერთადერთია, ენმ-მა ყველა არჩევნებით თუ სოციალური კვლევებით დაინახა, რომ ხელისუფლებაში ვეღარ ბრუნდება. 2024 წელს ეს შარლატანები მაქსიმუმ 7-8%-ს თუ აიღებენ. ამიტომ პოლიტიკურ არენაზე რომ დარჩნენ, მათთვის მხოლოდ ერთადერთი გამოსავალი არსებობს, სახელმწიფო გადატრიალებით ქვეყნის ხელისუფლებაში დაბრუნდნენ. ამიტომ საქმეში ისეთი პოლიტიკური შარლატანები ჩართეს, როგორიც არესტოვიჩი და მისი გუნდია. უკრაინელი ხალხი, ამ გათახსირებული პოლიტიკოსების ხელში მეცოდება“, — დასძენს ედიშერ გვენეტაძე.

* * *

პოლიტოლოგი **ვაჟა ბერიძე** კი მიიჩნევს, რომ უკრაინას და მის ხელისუფლებაში მყოფ ზოგიერთ პოლიტიკოსს საბჭოთა კავშირის დროინდელი სინდრომი აწუხებს. დიდმა ძმამ პატარა მუდმივად უნდა დატუქსოს და ჭკუა ასწავლოს. ბერიძე აცხადებს, რომ არესტოვიჩის ყოველდღიური ჭკუის სწვალება კი ზუსტად ამას ჰგავს. ყველა ქვეყანას საკუთარი პოლიტიკა და დღის წესრიგი აქვს. ჩვენს ხელისუფლებას, როგორც უნდა, ქვეყანას ისე მართავს და უკრაინიდან თითის ქნევა არავის სჭირდება.

„უკრაინა-საქართველოს ურთიერთობები უფროსი ძმის დამოკიდებულებას დაემსგავსა. ახლა ის სტრატეგიული თვალსაზრისით, დასავლეთისთვის უკვე საქართველოზე მნიშვნელოვანია, საბოლოო ჯამში, გამოვიდა, რომ მათ ნებას უნდა დავყვეთ. მით უმეტეს ჩვენი ქვეყნის ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლები არიან დესანტირებულები და არაა გამორიცხული, მათ მითითებებსაც ახმოვანებენ. ეს ხალხი მრჩევლებად და ოფიციალურ თანამდებობებზე ჰყავთ დანიშნული.

ჩვენი ხელისუფლება იმაში მოტყუვდა, რომ ამაზე თავიდანვე აუიოტაჟი უნდა აეტეხა. ეს არ მოხდა, შედეგი კი ის მივიღეთ, რომ ვიღაც შემთხვევითი ტიპები ბერიძე სააკაშვილის საქართველოში დაბრუნებას ომის გამო რეალურად მიიჩნევს და ფიქრობს, რომ მას გეგმა არ გამოუვიდა. ამიტომაც ახლა ციხიდან თავის დაღწევის სხვადასხვა ხერხებს ეძებს და ამაში უკრაინის ზოგიერთ მაღალჩინოსანსაც იყენებს.

„ჩვენი ხელისუფლების სიბრძნე ამ ბოლო დროს უკანმიდევნებული ლამპარივით არის. რა თქმა უნდა, სააკაშვილი ქვეყანაში ზუსტად ომის გამო ჩამოვიდა. ის კონკრეტული დავალებით წამოვიდა და ჩვენს ხელისუფლებას თავი დააჭერინა. როგორც ჩანს, ქვეყანაში რევოლუციის გზით გადატრიალება ჰქონდა დავალებული. იფიქრა, მის დაკავებას ქვეყანაში გადატრიალება მოჰყვებოდა, შემდეგ კი საქართველოში ახალი ფრონტის ხაზიც გაიხსნებოდა. ეს არ გამოვიდა. ჩვენმა ხელისუფლებამ ის დააკავა და ახლა ციხეში ზის. ამიტომაც სააკაშვილი ცდილობს ციხეს თავი დააღწიოს. ჩვენს ხელისუფლებას და პირადად პრემიერს მოვუწოდებ, რომ ხალხს უფრო მეტი ესაუბროს. გასაგებად აუხსნას, რა ხდება და საქმე რასთან გვაქვს. კი ბატონო, საუბრობს რაღაცას, მაგრამ მასზე მკვეთრ განცხადებებს კობახიძე უფრო აკეთებს. არ ვიცი, იმიტომ ხომ არა, რომ მას ივანიშვილთან უფრო მჭიდრო კომუნიკაცია აქვს. ივანიშვილი გონიერი კაცია და ბევრი სიკეთე აქვს გაკეთებული, მაგრამ ის პოლიტიკაში აღარ არის და უკრაინელები ვის დაელაპარაკონ? რაღაცა იმპროვიზაციების მეშვეობით, ვიღაც მთვარეული „მასტები“ არესტოვიჩის და მისი მსგავსების სახით, ჭკუას გვასწავლიან. პერიოდულად, საქართველოს დამოკიდებულების შესახებ სისულელეებს ჩმახავენ და ეს ყოვლად მიუღებელია. ამიტომ პრემიერს მოვუწოდებ, უფრო დამოუკიდებლად იმოქმედოს“, — ამბობს ბერიძე.

ლიკა ბერიკაშვილი



მიხეილ სააკაშვილი საქართველოში დესტაბილიზაციისთვის შემოიპარა

პოლიტოლოგ რამაზ საყვარელიძის განცხადებით, იმ შემთხვევაში თუ გაიხსნება ქართულ-მოლდოვური ფრონტი, რუსეთის მოუწევს საჯარისო ფორმირებების გაშვება ამ რეგიონებში, თუმცა ქართული და მოლდოვური ფრონტი დიდი პრობლემა არ არის რუსეთისთვის, რომელსაც საჯარისო ფორმირებები ბაზის სახით ჰყავს საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში და ძალიან მცირე სათმარი მანევრის დონეზე შეუძლია ერთ საათში გადაკეტოს საქართველო. For.ge რამაზ საყვარელიძეს ესაუბრა.

— არსებობდა კონკრეტული ინფორმაციები, რომ ომი უნდა დაწყებულიყო უკრაინაში ნოემბერში ან დეკემბერში, სწორედ ამ მიზნით ჩამოვიდა სააკაშვილი, რომ აქედან ყოფილიყო მზაობა მეორე ფრონტის გახსნის“, - აცხადებს ირაკლი ღარიბაშვილი და, ალბათ, რთულია არ დაეთანხმო, ვინაიდან ის რიტორიკა, რომელიც გვესმის უკრაინიდან, ამყარებს ვერსიას, რომ სააკაშვილის ჩამოსვლის მოტივი იყო დესტაბილიზაცია და უკრაინის პარალელურად, მეორე ფრონტის ხაზის გახსნა საქართველოში?

რამაზ საყვარელიძე: არ მიკვირს ასეთი ვერსია რომ გაჩნდა. რატომ ჩამოვიდა სააკაშვილი? — როცა ეს კითხვა ტრიალებდა, მაშინ მქონდა ვერსია, რომ რაღაცა ხდება უკრაინაში და ამიტომ ჩამოვიდა. ანუ, უკრაინიდანაც გამოიპარა და შემოიპარა საქართველოში. იყო მაშინ ვერსიები, რომ საქართველოში დესტაბილიზაციის მიზნით შემოვიდა, მაგრამ ეს რომ ნდომოდა, უკრაინიდან ჩუმად გამოსვლა რაში სჭირდებოდა? სიმართლე გითხრათ, უკრაინიდან გამოპარვა არც იმ შემთხვევაში არის ლოგიკურად გასაგები, თუ ვიგულისხმებთ, რომ უკრაინაში ომი მწიფდებოდა და ამიტომ გამოიპარა. სააკაშვილს რომ განეცხადებინა: მივდივარ საქართველოში იმისთვის, რომ ქართველები შემოვუერთო უკრაინის ბრძოლას, სულ ტაშისკვრით გამოისტუმრებდნენ, მაგრამ რატომ გამოიპარა უკრაინიდან არაჟანში ჩამჯდარი, ჩემთვის გაუგებარია.

— უკრაინის პრეზიდენტის ოფისის ხელმძღვანელის მრჩევლის ალექსი არესტოვიჩის განცხადებით, საქართველოს მთავრობას აქვს ისტორიული შესაძლებლობა, დაიკავოს აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი. ამბობს, რომ არც მოლდოვის და არც საქართველოს ხელმძღვანელობა მზად არ არიან, ე.წ. მეორე ფრონტის შესახებ გადაწყვეტილება მიიღონ. გზავნილი, რომ სააკაშვილი ომს დაიწყებდა, რეალურია?

უკრაინელების გულისთვის ვერც ქართველებს გავწირავთ, ვერც აფხაზებსა და ოსებს და ვერც საუკუნეებგამოვლილ მეგობრობას!

დნესტრისპირეთის დაბომბვას უკრაინას დააბრალებენ?!

შესაძლოა თუ არა, ომის ახალი ფრონტის ხაზი უკრაინის შემდეგ მოლდოვაშიც გაიხსნას? ვის აძლევს ხელს უკრაინის მეზობლად მყოფი დე-ფაქტო დნესტრისპირეთში პროვოკაციების მოწყობა? ხომ არ არსებობს საფრთხე, რომ მოლდოვის შემდეგ ფრონტის ხაზი საქართველოშიც გადმოვიდეს? რატომ საუბრობს მუდმივად უკრაინის მაღალჩინოსნების ნაწილი ამ ფრონტის აუცილებლობაზე, რომლის მეშვეობითაც რუსეთის დასუსტებაა შესაძლებელი, ან რამდენად შესწევს ახლა პუტინს იმის ძალა, რომ თუნდაც ნაკლებთავდაცვისუნარიან ქვეყნებთან ახალი ომი წამოიწყოს?

ანალიტიკოსები ფიქრობენ, რომ ლოგიკურად თუ ვიმსჯელებთ, პუტინს ახლა ახალი ფრონტის ხაზების გახსნა არსად არ უნდა აწყობდეს, რადგან მისი სამხედრო პოტენციალი უკვე ორთვიანი ომის ფონზე საკმაოდ სავალალოდ გამოიყურება. მათ უკრაინასთან პროგრამა მინიმუმსაც კი ვერ მიაღწიეს და ხელში რეალურად არაფერი უჭირავთ. საქართველო მით უმეტეს, რუსეთისთვის რიგი გარემოებების გამო, მოლდოვაზე რთული ფრონტის ხაზი იქნება. ამიტომ საუბარი რუსეთის მხრიდან ახალი ფრონტის გახსნაზე, ლოგიკას მოკლებულია. თუმცა პუტინის თავში რა როგორ გადაწყდება, პროგნოზის გაკეთება რთულია.

არაღიარებულ დნესტრისპირეთში კი ჯარი სრულ საბრძოლო მზადყოფნაშია მოყვანილი. საუბარია 8000-მდე სამხედრო მოსამსახურეზე, რომელთაგან 3000 რუსეთის არმიას წარმოადგენს. ამის შესახებ უკრაინის გენშტაბი იუწყება. პრეზიდენტის ადმინისტრაციაში კი ამბობენ, რომ უკრაინის შემდეგ, არასასურველ სტუმარს უკვე მოლდოვაც უნდა ელოდოს.

საძმე დნესტრისპირეთში მომხდარ აფეთქებებს უკავშირდება. არაღიარებული რესპუბლიკის ძალოვანი უწყების ცნობით, 25 აპრილს ტირასპოლში ამ დრომდე უცნობი ჯგუფი ე.წ. კგბ-ს შენობას ყუმბართმტყორცნით დაესხა თავს. კიდევ ორი აფეთქება დადასტურდა სოფელ მაიაკში. აძ ორი რადიოგადამცემი ანძა გაანადგურეს.

აფეთქებების გამო პანიკაში მყოფი ადამიანები არაღიარებული რესპუბლიკიდან მოლდოვის კონტროლირებად ტერიტორიაზე გარბიან. აქ ამბობენ, რომ რუსეთი მოსახლეობის კონფლიქტში ჩათრევას ცდილობს, რის გამოც მოსალოდნელია კიდევ უფრო მძიმე პროვოკაციები.

მოლდოვის პრეზიდენტმა მომხდარის გამო უშიშროების საბჭოს საგანგებო სხდომა მოიწვია. **მაია სანდუ** ეჭვობს, რომ ტირასპოლში მომხდარი თავდასხმის მიზანი ვითარების დასაძაბად ხელოვნური მიზეზის შექმნა და დესტაბილიზაციის გამოწვევაა.

ვითარებას სწავლობს ვაშინგტონი. თავდაცვის მდივანი წინასწარი შეფასებებისგან ამ ეტაპზე თავს იკავებს, თუმცა **ლოიდ ოსტინის** განცხადებაში გარკვეული მღელვარება მომხდარის გამო მაინც იკითხება.

ვიდრე შტატებში ვითარებას სწავლობენ, უკრაინაში პირდაპირ საფრთხეზე ლაპარაკობენ. დაზვერვის ცნობით, დნესტრისპირეთზე სარაკეტო იერიში იგეგმება, რომელსაც ოფიციალურ კიევს დააბრალებენ. მიზეზი კი ის არის, რომ დნესტრისპირეთს ჩრდილოაღმოსავლეთით ესაზღვრება ოდესის ოლქი, რომლის დაკავებას და რეგიონში გავლენის ზრდას ცდილობს საოკუპაციო ძალა.

მოლდოვაში, ძირითადად ეთნიკურად რუსი მოსახლეობით დასახლებულ დნესტრისპირეთში დამოუკიდებლობა 90-იან წლებში გამოაცხადეს. კონფლიქტის გაღრმავებას მოსკოვმა შეუწყო ხელი, რომ სხვა რეგიონების მსგავსად, კიშინიოვზეც ზეწოლის ბერკეტი მოეპოვებინა. ამას დაპირისპირება და შეიარაღებული კონფლიქტი მოჰყვა.

კონფლიქტოლოგი **ზურაბ ბენდიანიშვილი** მიიჩნევს, რომ არ არის გამორიცხული, დნესტრისპირეთში დაწყებული აფეთქებით რუსეთი ფრონტის ხაზის გადატანას მოლდოვის ტერიტორიაზე ცდილობდეს. ამის მიზეზი კი ოდესის ხელში ჩაგდება შეიძლება იყოს. რუსებს ქალაქის სხვაგვარად აღება გაუჭირდებათ. პუტინის მიზანი ლუგანსკის და დონეცკის ოლქების გათავისუფლებაა, ოდესის გარეში კი ეს არ გამოვა. ამიტომაც ოდესაზე დარტყმისთვის რუსებს შესაძლოა მოლდოვური სცენარიც სჭირდებოდეთ.

„ახლა უკრაინაში ომის რა სცენარიც ვითარდება, არ მგონია, რომ ამაზე წასვლა ძალიან დიდი აბსურდია. თუმცა ფაქტია, რომ ეს რუსების გაკეთებულია და არა მოლდოველების. ისინი ომში ჩათრევაზე ძალიან ფრთხილობენ.

თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მოლდოვის სამხედრო პოტენციალი ძალიან სუსტია და ის საქართველოზე უარეს დღეშია. სამხედრო წინააღმდეგობის გაწევა სახმელეთო ბრძოლებში საქართველოს უფრო შეუძლია, ვიდრე მათ. ამიტომ შესაძლოა, რუსებს კიდეც გაუადვილდეთ, თუკი ამას გადაწყვეტენ. არაა გამორიცხული რუსეთმა უკრაინაში წარუმატებელი ომის ფონზე, სუსტი თავდაცვისუნარიანი მოლდოვის დაკავება გადაწყვიტოს. მაშინ ეს უკვე უკრაინაში ოპერაციაზე უარის თქმას ნიშნავს. მიუხედავად მოლდოვის სუსტი ჯარის, რუსებს თავისი მინიმალური რეზერვიდან ჯარების გადასროლა მოუწევს. მერე ამ დაკავებულ ტერიტორიას ხომ გაკონტროლება უნდა და არ გამოვრიცხავ პუტინის თავში ეს აზრი იბადებოდეს“, — ამბობს ბენდიანიშვილი.

რაც შეეხება საქართველოს და იმ საფრთხეს, რომელიც შესაძლოა მოლდოვასთან ერთად დაგვემუქროს, ბენდიანიშვილი ამბობს, რომ რუსეთს ახლა საქართველო, როგორც ახალი თავისტკივილი არ უნდა აწყობდეს. მით უმეტეს უკრაინიდან ჯარების ისევ საქართველოში გადმოსროლა ძალიან რთული იქნება და პრობლემას პრობლემები დაემატება. ამიტომ კონფლიქტოლოგი მიიჩნევს, რომ ამ ეტაპზე პუტინისთვის საქართველო პრიორიტეტი არ არის. თუმცა მის თავში რა და როგორ მოიხარშება ესეც არავინ ბოლომდე არ იცის.

ვახტანგ მაისაია: არესტოვიჩს ვეთანხმები – სააკაშვილი ხელისუფლებაში რომ ყოფილიყო, ახლა თბილისი ხარკოვივით მუდმივი დაბომბვის ქვეშ იქნებოდა!

რაც შეეხება ამერიკის მხრიდან საქართველოსთვის გამოყოფილ 35 მილიონს, რომელიც ჩვენი ძვეყნის თავდაცვას უნდა მოხმარდეს, კონფლიქტოლოგს მიაჩნია, რომ ეს სიმბოლური დახმარებაა, რომლითაც ამერიკა მიგვანიშნებს, რომ უკრაინასთან დაკავშირებით ბევრს არ ვაკეთებთ და ამასთანავე ჩვენზე ხელის ჩაძნევაც ბოლომდე არ უნდათ.

* * *

სამხედრო ანალიტიკოსი **ვახტანგ მაისაია** კი ფიქრობს, რომ ახლა იმდენად რთული ვითარებაა, რეალურად ვერ გაიგებს ადამიანი ვისი ინტერესები სად იკვეთება. მაისაია მიიჩნევს, რომ დნესტრისპირეთში შევლა უკრაინასაც აწყობს და მათ ამის შესახებ მზადყოფნაც კი გამოთქვეს. ამიტომ გამორიცხული არაა, რომ უკრაინა პრევენციაზე მუშაობდეს და რუსეთს ასწრებდეს.

„ოდესის მიმართულებით რუსეთის მიერ ოკუპირებული დნესტრისპირეთიდან რეალური საფრთხე მოდის და დამოკლეს მახვილივით არის. პუტინს ომის მეორე ფაზის სამხედრო მიზნები უკვე მკვეთრად აქვს გაცხადებული.

იხ. 9 გვ.

— ძნელი სათქმელია, იმ მომენტში საკაშვილი რას გადაწყვეტდა, იმის გათვალისწინებით, პოლიტიკაში რომელი ფაქტორი როგორ დალაგდებოდა. ამერიკის და ევროპის მხარდაჭერას რომ ნახავდა, ასეთ შემთხვევაში შეიძლებოდა გაჭრილიყო წინა პლანზე და გამოეცხადებინა, რომ საომარ მოქმედებაში უნდა ჩავერთოთო, რაც მას სჩვეოდა. გვახსოვს, რომ საერთაშორისო მისიებში ჯარისკაცების გაშვება სააკაშვილმა დაიწყო და ქართველი სამხედროები ჩართო ევროპის სხვადასხვა საბრძოლო მოქმედებებში. ამ ტიპის რისკის გაწევა საკუთარი ჯარისკაცების წინააღმდეგ უცხო არ იყო სააკაშვილისთვის. ასე რომ, შეიძლება აქაც ამ რისკზე ადვილად წასულიყო. მოგეხსენებათ, დღევანდელი ხელისუფლება სწორედ იმიტომ არიდებს თავს საომარ მოქმედებებში ჩართვას, რომ ერთი მხრივ უფრთხილდება ჯარისკაცების გაწირვას, მეორე მხრივ უფრთხილდება მშვიდობიან მოქალაქეებს.

— როგორ ფიქრობთ, რატომ არ ჩქარობს დასავლეთი და აშშ, რა გათვლა აქვთ?

— არ ჩქარობენ, იმიტომ რომ უნდათ რუსეთს მოუსწროს ეკონომიკურმა სანქციებმა. ჯერჯერობით რუსეთი არის რეზერვების ხარჯზე, რომელიც ივნისივლისის თვეში დაილევა და ამის მერე რეალურად ექნება საქმე სანქციების შედეგებთან. სანქციების შედეგები კი ისეთი იქნება, რომ რუსეთი თავის უზარმაზარ ტერიტორიაზე ტრანსპორტირებას ვერ შეძლებს. ვერ შეძლებს რეგიონების დაფინანსებას.

ასევე — იმ რეგიონების დაფინანსებას, რომელიც ოკუპირებული აქვს. ჩვენთვის ეს არის აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი. მათ დაფინანსებას რომ ვერ შეძლებს, ეს ფაქტია, რადგან უკვე გააფრთხილა, რომ 18%-მდე შეუმცირდებათ დაფინანსება. თუკი დაფინანსება შეუმცირდება ამ რეგიონებს, მერე რეგიონების წინაშე თავად დადგება ობიქტურად საკითხი — სად ურჩევნიათ ყოფნა — იმ რუსეთთან, რომელსაც ფინანსები არ აქვს, თუ სადმე სხვაგან, მაგალითად, თუნდაც — საქართველოში.

— საქართველოს თემა ჯერჯერობით აქტუალური არ არის, თუმცა გარკვეული ნიშნები უკვე არსებობს...

— საქართველომ ადრე თქვა, რომ ჩვენ უარს ვამბობთ ძალისმიერ მეთოდებებზე და ოკუპირებული რეგიონები მშვიდობიანად უნდა შემოვირიგოთ. აი, ამ მშვიდობიანი შემორიგების პირობები იქმნება ნელ-ნელა. ამ დროს უკრაინას სჭირდება, რომ შენ ომით შეხვიდე ამ რეგიონში, რაც საკუთარი განცხადების ღალატი იქნება, გარდა ამისა, წამგებიან მდგომარეობაში აღმოჩნდები. ანუ, თუ ქართველი იარაღს მოკიდებს ხელს ამ ტერიტორიების აღსადგენად, რამდენიმე ათწლეული ისევ მტრად გადაიკიდებს აფხაზებსა და ოსებს. თუ რამე რწმენა გაუჩნდათ ქართველებთან ერთად თანაცხოვრების, ეს რწმენა ძალიან მალე ანულირდება. ასე რომ, ამ მხრივ საქართველო გაიმარჯვებს თუ არა, უკვე მნიშვნელობა არ აქვს, რადგან ადამიანური მთლიანობის და ურთიერთობის აღდგენის შესაძლებლობა დაიკარგება. ჩვენ დავკარგავთ აფხაზებსა და ოსებს. ეს უფრო დიდი დანაკარგი იქნება, ვიდრე ტერიტორიული დანაკარგი. ასე რომ, ჩვენთვის ამ მოწოდების აყოლა, რომ ახლა სუსტია რუსეთი და იარაღით დავიბრუნოთ ტერიტორიები, ბევრი თვალსაზრისით მიუღებელია.

თამთა ქარჩავა

სიფრთხილე გვმართებს!

ქვეყნის მტრის ანკესს არ მოედო, ქართველო ხალხო,
მის სატყუარას პირი არ ახლო,
თორემ სამშობლოს თავზე დაგვამხობს,
ხომ ხედავ, ჩქარობს, კვლავ ვიხილოთ არხილოს კალო,
და უგუნურთა სისხლის მოწამვლით
მტკვართან მკვლელობა ასიათას ახალ მოწამის!

ალექსანდრე შენგელია

1922 – ᲬᲔᲚᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲔᲖᲝᲑᲚᲔᲑᲘᲡ ᲑᲔᲭᲓᲘ ᲒᲐᲜᲡᲐᲖᲦᲕᲠᲐ

ᲡᲐᲘᲓᲣᲛᲚᲝ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲔᲑᲘ

1922 ᲬᲚᲘᲡ 16 Ა�პᲠᲘᲚᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲠᲣᲡᲔᲗᲛᲐ ᲒᲐᲐᲠᲚᲕᲘᲐ ᲡᲠᲣᲚᲘ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲘᲖᲝᲚᲐᲪᲘᲐ: ᲮᲔᲚᲘ ᲛᲝᲐᲬᲔᲠᲐ ᲮᲔᲚᲨᲔᲙᲠᲣᲚᲔᲑᲐᲡ ᲕᲐᲘᲛᲐᲠᲘᲡ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐᲡᲗᲐᲜ. ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲝᲛᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲕᲔᲠᲡᲐᲚᲘᲡ ᲮᲔᲚᲨᲔᲙᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲝᲠᲘᲕᲔ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐ ᲤᲐᲥᲢᲝᲑᲠᲘᲕᲐᲓ ᲓᲘ�პᲚᲝᲛᲐᲢᲘᲣᲠ ᲘᲖᲝᲚᲐᲪᲘᲐᲨᲘ ᲘᲛᲧᲝᲤᲔᲑᲝᲓᲐ.

რაპალოს ხელშეკრულებამ აღადგინა დიპლომატიური ურთიერთობები ორ ქვეყანას შორის და გზა გაუხსნა ეკონომიკური თანამშრომლობის გაღრმავებას. მიუხედავად იმისა, რომ პაქტი არ შეიცავდა სამხედრო დებულებებს, ის მაინც იძლეოდა ინტენსიური თანამშრომლობის საშუალებას. ვერსალის ხელშეკრულების დარღვევით 1922 წლის ზაფხულში მხარეებმა რამდენიმე საიდუმლო შეხვედრა გამართეს. მომდევნო რამდენიმე წლის განმავლობაში გერმანიამ საბჭოთა კავშირში გახსნა საავიაციო სკოლა, ქიმიური იარაღის ქარხანა და სატანკო პოლიგონი.

„ამ ბაზებმა ხელი შეუწყვეს წითელი არმიის მოდერნიზაციას და გადამწყვეტი როლი შეასრულეს სამხედრო ტექნოლოგიების განვითარებაში, რამაც შესაძლებელი გახადა გერმანიის არმიის ხელახალი აღორძინება ჰიტლერის მმართველობის დროს“, – წერს ანალიტიკოსი იან ჯონსონი.

გერმანიაში რაპალოს ხელშეკრულების ხელმოწერა ზოგიერთებმა აღიქვეს როგორც მათი ქვეყნისთვის მოსალოდნელი „ებრაულ-ბოლშევიკური საფრთხის“ ნიშანი. ამან გამოიწვია უკიდურესი მემარჯვენეებისა და მათი დამფინანსებლების აქტიურობის გაზრდა. 1922 წლის ივნისში, ხელშეკრულების ხელმოწერიდან ორი თვის შემდეგ, გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი ვალტერ რატენაუ მემარჯვენე-ტერორისტულმა დაჯგუფებამ მოკლა. 1922 წლის აგვისტოში მიუნხენში გამართულ მიტინგზე, თავის ერთ-ერთ პირველ საჯარო გამოსვლაში, ადოლფ ჰიტლერმა ილაპარაკა „ებრაული ბოლშევიზმის“ მოახლოებული საფრთხის შესახებ. სწორედ ამ მიტინგზე გამოჩნდნენ პირველად ჰიტლერის „მოიერიშეები“ თავიანთი ცნობილი ყავისფერი პერანგებით. ამავე წლის ოქტომბერში იტალიის პრემიერ-მინისტრი გახდა ფაშისტი ლიდერი, ბენიტო მუსოლინი.



ᲑᲝᲠᲘᲡ ᲞᲘᲚᲜᲘᲐᲙᲘ

ბაში: 1863-1922“, 1922 წელს მიიჩნევს ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი კულტურული აღმავლობის, აფეთქების დასრულების წლად.

1922 წელს მწერალმა ბორის პილნიაკმა გამოაქვეყნა იმპრესიონისტული შედევრი „შიშველი წელიწადი“ – პირველი რუსული რომანი, რომელიც მთლიანად დაიწერა 1917 წლის ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ. 1938 წლის 21 აპრილს მწერალი გაასამართლეს სტალინის მოკვლის შეთქმულებაში მონაწილეობის ბრალდებით, იმავე დღეს დახვრიტეს კეფაში გასროლით და დამარხეს მოსკოვში, სასროლეთ (ღია ტირი) „კომუნარკას“ ტერიტორიაზე მდებარე საძმო საფლავში.

იმავე 1922 წელს ევგენი ზამიატინი კითხულობდა თავის დისტოპიურ რომანს, „ჩვენ“, რომელიც მან დაასრულა წინა წელს – ამავე წელს დაწერა წინასწარმეტყველური ესე სახელწოდებით „მე მეშინია“, რომელშიც ამტკიცებდა, რომ თითქოს ბოლშევიკურ სახელმწიფოში არ იყო ადგილი „შეშლილებისთვის, განდეგილებისთვის, ერეტიკოსებისთვის, მეოცნებეებისთვის, მეამბოხეებისა და სკეპტიკოსებისთვის“.

ზამიატინი გარდაიცვალა ემიგრაციაში, პარიზში, 1937 წელს. მიუხედავად იმისა, რომ რომანი „ჩვენ“ ნიუ-იორკში გამოიცა ინგლისურად 1924 წელს, იგი საბჭოთა კავშირში, ქვეყნის დაშლამდე მხოლოდ სამი წლით ადრე, 1988 წელს დაისტამბა.

1967 წელს, რუსი წარმოშობის ემიგრანტი კრიტიკოსი მირა გინსბურგი წერდა: **„ისევე როგორც (მიხაილ) ბულგაკოვი და (ისააკ) ბაბელი, ზამიატინი გვიქმნის წარმოდგენას იმის შესახებ, თუ როგორი შეიძლებოდა გამხდარიყო პოსტრევოლუციური რუსული ლიტერატურა, დიქტატურას ასე დაუნდობლად რომ არ ამოეძირკვა დამოუკიდებლობა, გამბედაობა და ინდივიდუალობა“.**

სამოქალაქო ომში გამარჯვებისა და ძალაუფლების განმტკიცების პარალელურად, საბჭოთა ხელმძღვანელობა სულ უფრო მეტ ყურადღებას უთმობდა საზოგადოების შეცვლა-გადაკეთებას. 1921 წელს საბჭოთა მთავრობამ მიზანში ამოიღო რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია. თავდაპირველად კამპანიის მიზანი იყო რაც შეიძლება მეტი საეკლესიო ქონების ჩამორთმევა, მაგრამ 1922 წლისთვის ლენინს უფრო ამბიციური გეგმები ამოძრავებდა.

ᲔᲕᲒᲔᲜᲘ ᲖᲐᲛᲘᲐᲢᲘᲜᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲪᲝᲚᲘ ᲚᲣᲓᲛᲘᲚᲐ

1922 წლის 19 მარტით დათარიღებული ჩანაწერის მიხედვით, ლენინმა მოითხოვა „საიდუმლო შეხვედრა“ პოლიტიკურ ლიდერებს, ᲒᲠᲣ-სა და იუსტიციის სახალხო კომისარიატის ხელმძღვანელებს შორის. ლენინი წერდა, რომ უნდა მიეღოთ „საიდუმლო რეზოლუცია“, რომელიც უზრუნველყოფდა ეკლესიის სრულ განადგურებას „დაუნდობელი მიზანდასახულობით და უმოკლეს დროში“.

„რაც მეტი იქნება ამ ნიადაგზე დახვრეტილი რეაქციული სამღვდელოებისა და ბურჟუაზიის რიცხვი, მით უკეთესი, რადგან ამ „აუდიტორიას“ სწორედ ახლა უნდა ჩაუტარდეს გაკვეთილი ისე, რომ მათ ათეულობით წლის განმავლობაში ვერ გაბედონ რაიმე სახის წინააღმდეგობაზე ფიქრი“, – წერდა ბოლშევიკების ბელადი.

პეტერბურგელმა ისტორიკოსმა ალექსანდრე მარგოლისმა რადიო თავისუფლებას 2016 წელს მიცემულ ინტერვიუში განუცხადა, რომ ეკლესიის წინააღმდეგ კამპანია განხორციელდა „ყველაზე ბარბაროსული გზით“:

„რა თქმა უნდა, სამღვდელოება ცდილობდა, როგორმე შეეჩერებინა ეს, მაგრამ პასუხი ნათელი იყო: რაც უფრო მეტს ჩამოვახრჩობთ, მით უკეთესი“.

ᲘᲕᲐᲜ ᲘᲚᲘᲜᲘ

12-13 აგვისტოს ღამეს ბოლშევიკებმა პეტროგრადის მიტროპოლიტ ვენიამინს და რამდენიმე სხვა მაღალ იერარქს წვერი გაპარსეს და ძონძები ჩააცვეს. ასე მოიქცნენ იმიტომ, რომ საცეცხლე რაზმში მყოფ ჯარისკაცებს არ სცოდნოდათ, რომ სიკვდილით სჯიდნენ სასულიერო პირებს. ისინი ქალაქის გარეუბანში დახვრიტეს და საძმო საფლავში დამარხეს.

1992 წელს, საბჭოთა კავშირის არსებობის შეწყვეტიდან ერთი წლის თავზე, ვენიამინი და მასთან ერთად სიკვდილით დასჯილი რამდენიმე პირი წმინდანად შერაცხეს. მათვე მოუწყვეს კენოტაფი პეტერბურგის ალექსანდრე ნეველის ლავრაში. კანონიზაციის განკარგულება ბრძანებს, რომ „დახვრეტილთა ძვირფასი ნაშთები, თუ ოდესმე მოხერხდა მათი მოძებნა, წმინდა ნაწილებად უნდა ჩაითვალოს“.

ლენინს მსგავსი გეგმები ჰქონდა რუსეთის ინტელექტუალურ ელიტასთან მიმართებითაც. 1922 წლის 12 მარტს გამოქვეყნებულ სტატიაში, სათაურით „მებრძოლი მატერიალიზმის მნიშვნელობის შესახებ“, მან დაგმო ინტელიგენცია, როგორც „კლერიკალიზმის დიპლომირებული ლაქიები“, ხოლო დემოკრატია, როგორც „სხვა არაფერი, თუ არა თავისუფლება, იქადაგონ ის, რასაც სარგებელი მოაქვს ბურჟუაზიისთვის, კერძოდ, ყველაზე რეაქციული იდეები, რელიგია, ობსკურანტიზმი, ექსპლუატატორების დაცვა და ა.შ.“

ინტელიგენციის დევნის კამპანია დასრულდა 1922 წლის სექტემბერ-ნოემბერში, როდესაც პეტერბურგიდან დასავლეთის მიმართულებით სამი გემი გავიდა. ᲒᲠᲣ-ს აგენტებმა გემზე შეკრიბეს ქვეყნის მრავალი გამოჩენილი მოაზროვნე და მათი ოჯახები, რომლებსაც საკუთრება ჩამოართვეს და ისე დაატოვებინეს სამშობლო. ამ გემებზე, რომლებსაც „ფილოსოფოსთა გემები“ უწოდეს, იმყოფებოდნენ ფილოსოფოსები: ნიკოლაი ლოსკი, იული აიხენვალდი, ნიკოლაი ბერდიაევი, სერგეი ბულგაკოვი, სემიონ ფრანკი და სხვ.

ერთ-ერთმა გემმა ასევე წაიყვანა ივან ილინი, ფაშისტი მოაზროვნე, რომელმაც 1933 წელს დაწერა სტატია სათაურით „ნაციონალ-სოციალიზმი: ახალი სული“. ილინი არაერთხელ შეუქია ვლადიმირ პუტინს. 2005 წელს რუსეთის პრეზიდენტი პირადად იყო ჩართული ილინის ნეშტის მოსკოვში გადასვენების პროცესში.

1922 წელს რუსეთიდან გაძევებული 300-მდე ინტელექტუალიდან, ცხადია, ყველა ცნობილი არ იყო. მათ შორის ერივნენ ექიმები, იურისტები, პედაგოგები, ეკონომისტები და სხვები.

რუსმა კინორეჟისორმა ალექსეი დენისოვმა, რომელსაც რუსული ემიგრაციის პირველ ტალღაზე გადაღებული აქვს დოკუმენტური ფილმი „რუსული გამოსვლა“, 2012 წელს განაცხადა, რომ 1922-1939 წლებში საბჭოთა რუსეთიდან განდევნილებმა, საბჭოთა კავშირის დატოვების შემდეგ გამოაქვეყნეს 13 ათასზე მეტი აკადემიური ნაშრომი.

1922 წლის მაისში მოსკოვში ხელოვანთა ჯგუფმა ჩამოაყალიბა რევოლუციური რუსეთის მხატვართა ასოციაცია (ᲯᲘᲯᲘᲯ), რომელიც 1932 წელს შექმნილი საბჭოთა კავშირის მხატვართა კავშირის პირდაპირი წინამორბედი იყო. ჯგუფის იდეოლოგია მდგომარეობდა იმაში, რომ ხელოვნების ნაწარმოები „დიდაქტიკური შინაარსი“ ბევრად უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე მისი ესთეტიკური ღირებულება.

„ხელოვნება გასაგები და ხელმისაწვდომი უნდა იყოს მასებისთვის“, – აცხადებდნენ მხატვრები, რომლებიც, „გმირული რეალიზმის“ შესაბამისად, თემებსაც „საზოგადოებისა და პარტიის“ საჭიროებიდან გამომდინარე ირჩევდნენ.

1950 წლის დიდი საბჭოთა ენციკლოპედია ამბობს, რომ ჯგუფი იყო იმ პერიოდის „ყველაზე მოწინავე მხატვრული ორგანიზაცია“ და რომ „მან საფუძველი ჩაუყარა საბჭოთა ხელოვნებაში რეალიზმის გადამწყვეტ გამარჯვებას“.

ᲠᲝᲑᲔᲠᲢ ᲙᲝᲚᲡᲝᲜᲘ,
ᲠᲐᲓᲘᲝ „ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ“

ᲐᲠᲪ ᲔᲠᲗᲘ „ᲔᲠᲔᲢᲘᲙᲝᲡᲘ, ᲛᲔᲝᲪᲜᲔᲑᲔ ᲓᲐ ᲛᲔᲐᲛᲑᲝᲮᲔ“ ᲩᲕᲔᲜ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲗ

1922 ᲬᲚᲘ ᲐᲡᲔᲕᲔ ᲡᲐᲑᲭᲓᲘᲡᲬᲔᲠᲝ ᲬᲔᲚᲘᲐ ᲠᲣᲡᲣᲚᲘ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡᲐᲪ. თუ შევადარებთ 1920 წლის კულტურის კონტურებს (ვიზუალური ხელოვნება, ლიტერატურა, მუსიკა, ცეკვა, გამოყენებითი ხელოვნება და არა მხოლოდ) 15 წლის წინანდელი პერიოდისას, აღმოვაჩენთ თვალშისაცემ, მკვეთრ ტრანსფორმაციას, რომელსაც ადგილი ჰქონდა დროის ასე მოკლე პერიოდში. ხელოვნებათმცოდნე კამილა გრეი თავის ნაშრომში „რუსული ექსპერიმენტი ხელოვნე-

ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ. ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ ᲘᲮ. „ᲡᲠ“ № 54

მოთმინება, მოთმინება, კიდევ ერთხელ მოთმინება!

გენერალ-მაიორი, შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ყოფილი უფროსი, ანალიტიკურ ცენტრ „ჯეოქეისის“ მრჩეველი, ვახტანგ კაპანაძე ამბობს, რომ საქართველო მიმზიდველი უნდა გახდეს აფხაზებისთვის, რომ მოუნდეთ საქართველოსთან ერთად ცხოვრება. მისი თქმით, 2005-2006 წლებში საკმაოდ აქტიური იყო ქართულ-აფხაზური ურთიერთობები, მაგრამ შემდეგ მოხდა ისე, რომ პროცესები გაჩერდა. For.ge ვახტანგ კაპანაძეს ესაუბრა.

— აფხაზეთის კონფლიქტიდან 29 წელი გავიდა. სამწუხაროდ, კონფლიქტების დარეგულირების თვალსაზრისით, წინ ვერ მივდივართ, მიუხედავად ამისა ქართველებსა და აფხაზებს შორის ადამიანური ურთიერთობები ნარჩუნდება. მაგალითად, ომის შემდეგ უკვე მეორედ, აფხაზები მოდიან და ასუფთავებენ ქართველების მიტოვებულ სასაფლაოებს, რაც პირდაპირ დაკავშირებულია უსაფრთხოებასთან, მაგრამ მიდიან ამ რისკზე. ბატონო ვახტანგ, როგორც სამხედრო, როგორ ხსნით ამ ადამიანურ ისტორიას?

ვახტანგ კაპანაძე: საბოლოოდ არ გაბოროტდა ხალხი. ვერ ვიტყვი, რომ დიდი ნაწილი, მაგრამ არის მცირე ნაწილი, რომელსაც ახსოვს კარგი ურთიერთობა ქართველებთან, მეზობლებთან, მეგობრებთან. გარდა ამისა, გამოჩნდა, რომ ბევრი შეცდომები იყო დაშვებული არა მარტო ქართველების მხრიდან, არამედ აფხაზების მხრიდანაც.

ასევე, მნიშვნელობას ვანიჭებ იმასაც, რომ მებრძოლებს შორის უფრო არაა სიძულვილი დარჩენილი, რაც მებრძოლის მიმართ პატივისცემას იმსახურებს. კავკასიელებში ცოტა სხვანაირად არის ეს ფენომენი. აქ არ არის მარტო დაპირისპირება და სისხლისღვრა, დაღვრილი სისხლის გარდა არის ერთმანეთის პატივისცემა, ყოველთვის ასე იყო. აფხაზურ ნაწილშიც ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ამ ყველაფერს. ტყუილად არ იყო თავის დროზე ძუძუმტეობა ქართველებსა და აფხაზებს შორის განვითარებული, გავრცელებული....

— როგორ ფიქრობთ, ეს გენეტიკური ფესვები თავის დაღს ასვამს პროცესებს?

— ჯერჯერობით, ძალიან მცირე ნაწილზე. მიუხედავად იმისა, რომ ქართველები გამოყარეს აფხაზეთიდან და დევნილად იქცნენ, აფხაზები უფრო არიან გაბოროტებულნი, რადგან ხედავენ, რომ თავიანთი დაღვრილი სისხლით მიიღეს უარესი, ვიდრე ჰქონდათ, შეიძლება ეს ფაქტორიც იყოს. რთულია ასე ზერელედ საუბარი, ალბათ, ეს უფრო სოციოლოგიის და ფსიქოლოგიის თემაა. დღეს ასეთი ვითარებაა, თუმცა ვფიქრობ, რომ გამოსწორდება.

— ემოციური კადრია, როდესაც ეროვნებით აფხაზი, ისევ აფხაზის მიერ მოკლული ქართველის საფლავს ასუფთავებს. რა თქმა უნდა, ეს ორგანიზებული იყო ისევ ქართველის მიერ და ეს ბოლო წლებია გრძელდება. ამ მოვლენას როგორ ახსნით, როდესაც აფხაზის მიერ დახვრეტილი ქართველის საფლავს, ისევ აფხაზი ასუფთავებს?

— ჩემი, როგორც სამხედროს გადასახედიდან, ეს არის კაცური საქციელი! ეს არის კავკასიელის საქციელი! ეს არის ღირსეული კაცის საქციელი! ყველაფერი ინდივიდუალურია. ეს არის ადამიანობის გამოვლინება! სამწუხაროდ, ამას მასიური ხასიათი არ აქვს. როდესაც ღვიმეებს ვიკვლევდით, ხშირად გვქონდა ექსპედიცია აფხაზეთში, ბზიფის ქედი, არაბიკა, გაგრის ქედი — ეს იყო მაღალი მთის აფხაზური სოფლები, სადაც ნამდვილი აფხაზები იყვნენ. შემიძლია გითხრათ, რომ მე იქ ცუდი ადამიანი არ მინახავს, მიუხედავად იმისა, რომ ათი წელი დავდიოდი იმ მთებში. ძალიან სპეტაკი, ნამდვილი კავკასიელი ხალხი იყო, რომელიც ყველანაირად გვერდში დაგიდგებოდა.

მაგრამ, როგორც კი ჩამოხვიდოდი გუდაუთაში, იმ წუთში შეამჩნევდი დაძაბულობას. ეს მაინც იყო რუსული გავლენა და იგრძნობოდა, რომ სპეცსამსახურები მუშაობდნენ ვითარების დაძაბვაზე. რაც დრო გადის, ამაში უფრო ვრწმუნდები. ვიცი მექანიზმები როგორც ხდება სიტუაციების დაძაბვა, პრობლემების შექმნა. ახლა გახდა მოდური სიტყვა — ჰიბრიდული ომი, თორემ ეს ჰიბრიდული ომი ყოველთვის იყო და ყოველთვის იყო ასეთი მტკივნეული წერტილები. საბჭოთა კავშირის მიწაწყალი რომ ავიღოთ, ყველა რესპუბლიკაში არსებობდა მსგავსი მტკივნეული წერტილები შემონახული, რომელიც უნდა გააქტიურებულიყო საჭირო დროს და საჭირო მომენტში.

— პოლიტიკური თვალსაზრისით, წინსვლა არ გვაქვს, პროცესი გაყინულია. თითქოს არის დინებები, მაგრამ არ არის შედეგი. აფხაზები სარგებლობენ ჯანდაცვის პროგრამით, მაგრამ არაეფექტურია, იმკურნალებენ და ისევ ბრუნდებიან. როგორ ფიქრობთ, სახალხო დიპლომატია არის ის გზა, რომელიც შედეგზე იქნება ორიენტირებული და მნიშვნელოვანია ამ რესურსის ამოქმედება, ვიდრე პოლიტიკისთვის ამ პროცესის მინდობა?

— 2005-2006 წლებში საკმაოდ აქტიური იყო ეს ურთიერთობები. იმართებოდა ქართულ-აფხაზური შეხვედრები, იყო საუბრები, მსჯელობები. კარგად მახსოვს ირაკლი ალასანიამ, როგორც აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარემ, **სერგეი შამბაც** ჩამოიყვანა საქართველოში. იყო ეს მოძარაობა, მაგრამ შემდეგ მოხდა ისე, რომ ბევრი სუბიექტური და ობიექტური მიზეზის გამო ბევრი რამ გაჩერდა. კიდევ ერთხელ გავიმეორებ, მუშაობდნენ არაკეთილმოსურნეები, რომელთა ინტერესი იყო დაპირისპირების გაღვივება. არ ვგულისხმობ მხოლოდ რუსეთს. თქვენ კარგად მიხვდებით ვისზეც არის ლაპარაკი. ნებისმიერ შემთხვევაში, მთავარი მიზანი უნდა იყოს ის, რომ საქართველო მიმზიდველი გახდეს აფხაზებისთვის. აფხაზებს უნდა უნდოდეთ საქართველოსთან ერთად ცხოვრება, რაც არ ნიშნავს იმას, რომ აფხაზობა დაკარგონ და საქართველოში წამოვიდნენ...

> აფხაზ ახალგაზრდებში ძალიან მაღალი პროცენტია ნარკომანიის, კრიმინალის. სოციალური ვითარება ნადვილად გაუარესებული აქვთ და ეს ხომ რეალობაა. ზოგადად, ერებს შორის დაახლოების სამი ძირითადი პირობაა — **მოთმინება, მოთმინება და მოთმინება.** ძალით რაღაცის მოქაჩვას, ძალით გაკეთებას აზრი არ აქვს და არც უნდა ხდებოდეს. მაგალითისთვის შეგვიძლია ვთქვათ ირლანდია და ინგლისი, მამასისხლად იყვნენ გადაკიდებულნი, დაუმთავრებელი ბრძოლები მიდიოდა, მაგრამ დღეს დაწყნარებული და დალაგებული ურთიერთობა აქვთ ამ ქვეყნის მოსახლეობას ერთმანეთში. რთული, მაგრამ გადაწყვეტადია ეს პრობლემები.

— გასაგებია, მაგრამ რა ნაბიჯები უნდა გადავდგათ იმისათვის, რომ აფხაზებს მოუნდეთ საქართველოსთან ერთად ცხოვრება? როგორ გავხადოთ მიმზიდველი, რომ მესამე ძალა, რომელიც პოლიტიკურ ამინდს ქმნის აფხაზეთში, გახდეს მიუღებელი?

— რადგან სახალხო დიპლომატიაზე ვსაუბრობთ, ეს ნიშნავს, რომ აქ ხალხზეა საუბარი და, რა თქმა უნდა, ხელისუფლების ხელშეწყობით. მე არ ვარ პოლიტოლოგი, ჩემი, როგორც სამხედროს გადასახედიდან, შემიძლია ვთქვა, რომ აფხაზებმა უნდა დაინახონ დიდსულოვნება და ის, რაც შენ უპირატესობას გაძლევს მათთან ურთიერთობაში. უფასო ჯანდაცვის პროგრამის გაგრძელება და განვითარება არის საჭირო — მე ასე მიმაჩნია. ძალით და რაღაცის ფორსირებით საქმე არ გამოვა. ნაბიჯ-ნაბიჯ, ძალიან ჭკვიანურად, მეთოდურად, სწორი პოლიტიკით და ურთიერთობითაა საჭირო გამარჯვებამდე მისვლა.

ის, რომ ქართველები აფხაზებს აღიარებენ და მხარში უდგნან, ამას მეტი პოპულარიზაცია სჭირდება. მე ვთვლი, რომ ძალიან დიდი პოტენციალი აქვს თურქეთში მყოფ აფხაზობას. მათი შესაძლებლობაც უნდა იყოს გამოყენებული, რადგან დიდი გავლენა აქვთ თვითონ აფხაზეთში. თან არა მარტო აფხაზებზე, არამედ ჩერქეზურ დიასპორაზე, რომელიც ძალიან მძლავრადაა წარმოდგენილი თურქეთში. სხვათა შორის, ჩერქეზების გენოციდი ქართველებმა აღიარეს. სხვას არავის ულიარებია საბჭოთა კავშირის ტერიტორაზე. ალბათ, უფრო მეტი აქტიურობა გვმართებს, მით უმეტეს, რომ ახლა, როდესაც დგება ისეთი გარემო, როდესაც ძალიან გაუჭირდებათ აფხაზებს...

— რას გულისხმობთ?

— რუსეთისთვის დაწესებული სანქციების პირობებში უფრო გაუჭირდებათ აფხაზებს. ძალიან დიდი ზეწოლა იქნება რუსეთის ხელისუფლებიდან აფხაზური მიწების გაყიდვის შესაძლებლობის მიცემაზე, რასაც დღეს აფხაზები კბილებით იცავენ, მაგრამ რამდენ ხანს გაუძლებენ, არ ვიცი. სომხური მოსახლეობის საკმაოდ დიდი ლობი მხარს უჭერს რუსებისთვის ამ მიწების მიყიდვის ნებართვას. ასე რომ, ძალიან მტკივნეული და ფაქიზი თემაა, მაგრამ გადაწყვეტა მაინც შეიძლება.

— აფხაზებმა, რომლებმაც გადააფასეს ყველაფერი და დღეს ქართველების საფლავებს ასუფთავებენ, გამოყენებადი რესურსია იგივე სახალხო დიპლომატიის კუთხით?

— უპრეცედენტო ფაქტია. შესაბამისად, გამოყენებადია. თითოეული სიკეთის ჩვენება არის საჭირო. ჯერ ერთი, რომ გაკეთება არის ყურადსაღები და მეორეა, დაინახო. გამკეთებელმა უნდა დაინახოს, რომ შენ მისი სიკეთე დაინახე, რაც ვფიქრობ, ძალიან მნიშვნელოვანია. ჩვენ უნდა ვაჩვენოთ, რომ ვხედავთ მათ მიერ გაკეთებულ სიკეთეს და მზად ვართ ხელი გავუწოდოთ. სახელმწიფო მოწყობიდან არ უნდა დავიწყოთ ლაპარაკი, არამედ პირიქით, ურთიერთობის გამარტივებით უნდა დავიწყოთ, — რასაც მოჰყვება შემდეგი ნაბიჯები. როცა გალღვება ყინული, მერე ადვილია საუბარი. მადლიერების გრძნობა უნდა იყოს ორმხრივი. ჯერ ჩვენ უნდა დავინახოთ და შემდეგ აფხაზებს უნდა დავანახოთ, რომ ჩვენ ეს დავინახეთ და დავაფასეთ!

ესაუბრა
თამთა ქარჩავა

> ...ეს არის ქართულ-აფხაზური ურთიერთობის ისეთი მნიშვნელოვანი ფაქტი, რომ ჩვენთვის ეს ისტორია უნდა გახდეს გზამკვლევი. შეიძლება ისეთი დრო დადგეს, რომ ასეთმა პროცესებმა პოლიტიკოსებზეც მოახდინოს გავლენა. რატომ უნდა გადავუხვიოთ მოვლენებს წინ და რატომ უნდა დავუშვათ ხელმეორედ 90-ინების შეცდომა, მაშინ ჩვენ ადამიანურ ურთიერთობებს არ გავუფრთხილდით და მივიღეთ ის, რაც მივიღეთ. ჩვენ რომ მაშინ ადამიანობა გაგვხსენებოდა და არ გვეძახა „აფსუებო, დაბრუნდით“, „ოსებო, თქვენ ჩრდილოეთ ოსეთი გაქვთ და იქ წადით“, ძალიან ბევრი რამ შეიძლება სხვანაირად დალაგებულიყო. ახლა ამის განმეორებას გვთავაზობს უკრაინული სცენარი. აუცილებელია ფრთხილი პოლიტიკა ვაწარმოოთ კონფლიქტების მიმართულებით, რადგან კონფლიქტების გადაჭრის საუკეთესო გზა არის მშვიდობა და მშვიდობიანი პოლიტიკა. მშვიდობიანი პოლიტიკით რომ გადავჭრათ, დასავლეთიც მხარს დაგვიჭერს და რაც მთავარია, ამ რეგიონების მოსახლეობაც კმაყოფილი იქნება.
>
> **რამაზ საყვარელიძე**

ᲠᲐ ᲒᲐᲫᲚᲔᲑᲡ ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗ ᲡᲐᲚᲐᲛᲝᲛᲓᲔ?!

ᲐᲨᲙᲐᲠᲐᲓ **გამოიკვეთა უცნაური კანონზომიერება: მას შემდეგ,რაც უკრაინაში ძალიან გამწვავდა ვითარება, ანუ ძალაში შევიდა ომის მეორე ეტაპი, იქიდან იმატა საქართველოს ხელისუფლების ლანძღვა-დამუნათებამ, რომ ის არა და არ ხსნის მეორე ფრონტს და ამიტომ ლამის მოღალატეა. თბილისში კი მეცხრე ტალღას უწია ნაცმოძრაობის ღრიალა მოთხოვნამ „წამებითა და არაადამიანური მოპყრობით სიკვდილის პირამდე მისული“ მესამე პრეზიდენტის სიცოცხლის გადასარჩენად, სამკურნალოდ სადმე უცხოეთში გადაყვანის შესახებ (აქვე ისიც შეიმჩნევა, რომ თუ საზღვარგარეთ გაგზავნა არ გამოვიდა, უბრალოდ, მისი ციხიდან გათავისუფლებაც იკმარებს).**

ამრიგად: ომის ახალ, უმწვავეს ეტაპზე გადასვლა, საქართველოს ამ ომში ჩართვის მოთხოვნა და „თავისუფლება მიშას“ გაერთიანდა. მაგრამ რა შეიძლება იყოს ამ მოვლენებს შორის საერთო, სად ერეკლე და სად...

არადა, ეს საერთო, მიზეზშედეგობრივი კავშირი არსებობს. ამაზე ოთხშაბათს ილაპარაკა „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ ირაკლი კობახიძემ. კერძოდ იმის შესახებ, რომ უკრაინის ხელმძღვანელობის დაჟინება, უფრო ზუსტად ახირება, საქართველო მეორე ფრონტს რატომ არ ხსნისო, გვაფიქრებინებს, რომ ამის თაობაზე (იმაზე, რომ საჭიროების შემთხვევაში საქართველო თავის ტერიტორიაზე მეორე ფრონტს გახსნიდა) შეთანხმება უთუოდ იყო კიევში მყოფ მესამე პრეზიდენტთან, უკრაინის ხელისუფლების მაღალჩინოსან მიხეილ სააკაშვილთან და ამ პირობისთვის ნიადაგის მოსამზადებლად, ანუ „მომწიფებული რევოლუციის მოსახდენად“ და ქვეყნის რუსეთთან საომრად აღსაგზნებლად ის სამშობლოში შემოგზავნეს — არაჟნით შელოპრეს და ტრაილერით შემოაძვრინეს...

მაგრამ ის, რომ რევოლუციის ექსპორტიორს ტრაილერიდან პირდაპირ რუსთავის მეთორმეტეში ამოაყოფინეს თავი, მებრძოლ უკრაინას ნაკლებად აღელვებს. მეფე მოკვდა, გაუმარჯოს მეფეს! მას ხომ დარჩნენ მემკვიდრენი, ჰოდა, მოცემული პირობა უნდა შესრულდეს...

დაახლოებით ასეთი სქემა წარმოადგინა ირაკლი კობახიძემ. მაგრამ მე პირადად ამ მსჯელობის მართებულობაში თვით სქემამ კი არ დამაჯერა, არამედ იმ საპროტესტო ქარიშხალმა, რაც ამ განცხადებას მოჰყვა. ქარიშხალი კი უმაღლესი სინჯისაა. ვისაც არ ეზარებოდა, თავი გამოიდო და პირი აიქაფა.

განსაკუთრებით ნაცმოძრაობის ორმა გიგანტმა, ლევან ხაბეიშვილმა და აკაკი მინაშვილმა გაგვიკეთა ჰიპნოზი საფირმო მჭევრმეტყველებითა და ალოგიკური ლოგიკით: კობახიძის აზრით, ომი თურმე უკრაინას დაუწყია, რაკიღა ამდენი რამ დაუგეგმავსო, მეორე ფრონტის გახსნა იმიტომ გვევალება, რომ უკრაინის დიდი მეგობრები ვართო და ა. შ.

არა, ხაბე, არა, აკო. უკრაინას არავინ აბრალებს ომის დაწყებას, ომი რუსეთმა დაიწყო, ულაპარაკოდ და გადაჭრით. ოღონდ, ომის დაწყება კიევმა კარგა ხნით ადრე იცოდა, ასევე ზუსტად, ულაპარაკოდ და გადაჭრით!

დასაბუთება გინდათ? ინებეთ: გახმაურდა უკრაინის პრეზიდენტის ოფისის მრჩევლის ოლექსი არესტოვიჩის განცხადება, რომ მისმა მთავრობამ ჯერ კიდევ დეკემბერში იცოდა რუსეთის თავდასხმის კონკრეტული თარიღი, მაგრამ ეს ამბავი დაუმალა მოსახლეობას, რათა „ყოვლისმომცველი ქაოსი“არ გამოეწვია: თურმე მოსალოდნელი ყოფილა მოსახლეობის მასობრივი გაქცევა ქვეყნიდან, 8-12 მილიონი ადამიანის ავტომაგისტრალებზე „გამოფენა“ კი შეაფერხებდა სამხედრო ძალების პოზიციებზე მისვლას და ამით კრემლს ხელს შეუწყობდა ბლიცკრიგშიო.

პირველი, რაც ამ ინფორმაციის გადახარშვისას მოგივა თავში, ის არის, რომ ხელისუფლებამ, რომელმაც იცოდა, რომ ომი გარდაუვალი იყო,თავის მხრივ ყველაფერი არ გააკეთა მის ასარიდებლად. მაგრამ, ამჯერად, ეს ჩვენი საქმე არ არის. აქ გადამწყვეტი გახლავთ ხაბეაკოს და ძმათა მათთა „მთავარი არგუმენტი“, თითქოს „ქართული ოცნება“ ამტკიცებდეს, ომი უკრაინამ დაიწყოო. ეს ისეთივე სიცრუეა, როგორც მათი ყველა „მტკიცებულება“.

ᲡᲘᲛᲐᲠᲗᲚᲔ ᲙᲘ ᲔᲡ ᲒᲐᲮᲚᲐᲕᲗ: ᲗᲣ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐᲛ ᲯᲔᲠ ᲙᲘᲓᲔᲕ 2021 ᲬᲚᲘᲡ ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲨᲘ ᲘᲪᲝᲓᲐ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲗᲐᲕᲓᲐᲡᲮᲛᲘᲡ ᲣᲦᲛᲧᲣᲐᲠᲘ ᲗᲐᲠᲘᲦᲘ — 2022 ᲬᲚᲘᲡ 24 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲘ, ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲨᲘ ᲘᲡᲘᲪ ᲔᲪᲝᲓᲘᲜᲔᲑᲝᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲝᲛᲘ ᲣᲗᲣᲝᲓ ᲛᲝᲮᲓᲔᲑᲝᲓᲐ ᲡᲐᲓᲦᲐᲪ ᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲖᲔ. ᲐᲫᲔᲓᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ, ᲡᲬᲝᲠᲔᲓᲐᲪ ᲔᲫᲕᲡ ᲕᲔᲠ ᲨᲔᲘᲢᲐᲜ ᲘᲛ ᲡᲘᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲔᲑᲨᲘ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲛᲝᲡᲐᲚᲝᲓᲜᲔᲚᲘ ᲝᲛᲘᲡ ᲬᲘᲜ, ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲨᲘ ᲡᲞᲔᲪᲓᲐᲕᲐᲚᲔᲑᲘᲗ ᲨᲔᲛᲝᲒᲖᲐᲕᲜᲔᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ, ᲠᲐᲗᲐ „ᲝᲪᲜᲔᲑᲐ“ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲩᲐᲛᲝᲔᲤᲝᲠᲔᲑᲘᲜᲐ, ᲠᲐᲡᲐᲪ ᲣᲦᲛᲧᲣᲐᲠᲐᲓ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲚᲐᲓ ᲗᲕᲚᲘᲓᲜᲔᲜ ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲒᲠᲘᲕᲘ ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚ-ᲡᲣᲚᲡᲬᲠᲐᲤᲔᲑᲘ. ᲐᲫ ᲜᲘᲨᲐᲜᲓᲝᲒᲚᲘᲕᲘᲐ ᲖᲝᲛᲘᲗᲡᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲠᲔᲡᲢᲝᲕᲘᲩᲘᲡ ᲔᲠᲗᲘ ᲑᲝᲚᲝ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲓᲔᲓᲐᲐᲠᲡᲘ: „ᲐᲠᲪ ᲛᲝᲚᲓᲝᲕᲘᲡ, ᲛᲘᲗᲣᲛᲔᲢᲔᲡ ᲐᲠᲪ ᲡᲐᲫᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲐ ᲐᲠᲪ ᲰᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲐᲓ ᲓᲐ ᲐᲠᲪ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲪᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲐᲓ ᲛᲖᲐᲓ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲐᲜ, ᲛᲔᲝᲠᲔ ᲤᲠᲝᲜᲢᲘᲡ ᲒᲐᲮᲡᲜᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐ ᲛᲘᲘᲚᲝᲜ. ᲘᲡᲘᲜᲘ ᲝᲛᲘᲡ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲐᲜ... ᲐᲛᲘᲡ ᲒᲐᲙᲔᲗᲔᲑᲐ ᲨᲔᲔᲫᲚᲝ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ“.

ᲝᲝᲝ, ᲠᲝᲒᲝᲠ ᲡᲫᲘᲠᲓᲔᲑᲐᲗ ᲝᲛᲘᲡ ᲙᲐᲪᲘ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ!

გეგმა-რევოლუციურ-ჯერ არსმენილ-ჯერ არ გაგონილი საქართველოს ძმური მეორე ფრონტის შესახებ ჯერაც არ ჩამოვარდნილა იშკილებიდან და ყველაფერი კეთდება მის ფეხზე წამოსაყენებლად. ბაკურიანის საიდუმლო სერობა გაიხსენეთ, იქ მოწყობილი ორდღიანი შეხვედრა-სწავლება ხელისუფლების სამოქალაქო პროტესტით მშვიდობიანად დამხობის საკითხზე, სადაც ოპოზიციის, ენჯეოების და მედიის სპეციალურად შერჩეული წარმომადგენლების გაჯაშუშებას წარმართავდა ამერიკელი ფინანსისტი, არაძალადობრივად ხელისუფლების დამხობის სპეციალისტი პიტერ აკერმანი (სხვათა შორის, ამ აკერმანმა გუშინ წინ თქვენი ჭირი წაიღო). შეკრებილთ თავში უტენიდნენ, თუ როგორ უნდა გამოიყენონ ხელისუფლების არაძალადობრივად შესაცვლელად არსებული საზოგადოებრივი უკმაყოფილება.

აი, ამ „ბაკურიანის სწავლების“ შედეგ-შემადგენელი მგონია ამ დღეებში სააკაშვილის გადარჩენის გააფთრებული კამპანიაც და 25 აპრილს გავრცელებული ფარული აუდიოჩანაწერიც, თითქოსდა ექს-პრემიერ ბიძინა ივანიშვილსა და რუს ოლიგარქ ვლადიმერ ევტუშენკოვის საუბარი. ამ ჩანაწერში ორი სატელეფონო დიალოგია გაერთიანებული, რომლებიც მარტში შემდგარა.

პირველი სატელეფონო დიალოგის დროს ევტუშენკოვი ივანიშვილს ეუბნება, რომ აქვს იდეა, რომელსაც ვინმე დავითი (იგულისხმება ქართველი ბიზნესმენი დავით ხიდაშელი) ჩამოიტანდა საქართველოში. ასევე ახსენებს ვინმე ალი უეზდენოვს, როგორც თავის მოადგილეს. ლაპარაკია ხორბლის თაობაზე (ექსპორტზე?).

მეორე საუბრის მიხედვით კი ბიძინა ივანიშვილი ევტუშენკოვს ეუბნება, რომ მისი წარმომადგენელი ალი უეზდენოვი „პრემიერთან გაუშვა“ (იგულისხმება პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი).

აბა, ამ ჩანაწერის გამოქვეყნებას მოჰყვა თუ მოჰყვა ხმაური და ღრიანცელი. **ᲔᲜᲛ**-ის გენერალურმა მდივანმა პეტრე ცისკრიშვილმა პარტიის სახელით მრისხანე განცხადება გააკეთა და მოითხოვა „დასავლეთის მხრიდან ბიძინა ივანიშვილისა და დავით ხიდაშელის წინააღმდეგ სანქციების დაწესება“. (აქვე სათქმელად: 26 აპრილს ნაცმოძრაობამ პარლამენტში დაარეგისტრირა განცხადება უკრაინაში რუსეთის მხრიდან გენოციდის აღიარების თაობაზე).

ერთ-ერთმა ჩვენმა ცეცხლოვანმა ბიოთურმა ისიც კი თქვა გულმწარედ, ჩვენი ხალხი რომ ვარგოდეს, ამაზე ქუჩაში არ უნდა გამოსულიყოო?!

არ გამოვიდა ჩვენი ხალხი ქუჩაში, ჩვენო იმანო! ან, კაცმა რომ თქვას, რატომ უნდა გამოსულიყო? რა არის ასეთი საქუჩო ამ ჩანაწერებში? პრემიერ ირაკლი ღარიბაშვილის გაკვირვებისა არ იყოს, მერე რა? რა იკითხება ასეთი კრიმინალური ამ ძალად ფათერაკიან ჩანაწერებში?

არადა, პარლამენტის მემარცხენე, შარიანმა ფრთამ უმალ პრემიერის პარლამენტში დაბარება მოითხოვა. ახლაც მზარავს თვალებგადმოკარკლული, ვეფხვივით ნესტოებდაბერილი, ცაში თითგარჭობილი სალომე სამადაშვილი მძულვარებისგან გაყინული ხმით როგორ მოითხოვდა ღარიბაშვილის წითელ ხალიჩაზე გამოძახებას...

ღმერთმა ხომ იცის,რომ არაფერი დაგვიშურებია მებრძოლი უკრაინისთვის, როგორც იტყვიან, უკანასკნელი პერანგი გავიხადეთ. სამაგიეროდ, კიევიდან მომდინარე მღვრიე ნაკადი არ წყდება, უკვე პირდაპირ ლანძღვაზე გადავიდნენ. უკრაინის რადას ფრაქცია „ხალხის მსახურის“ თავმჯდომარემ დავით არახამიამ დაბლა უკბინა სპილოსა, საქართველოს ხელისუფლებას დაბრალა, რომ იგი თავს იკავებს, რომ რუსეთი ღიად და მკაფიოდ გამოაცხადოს აგრესორადო. თურმე მის ამ განწყობას ადასტურებს ბიძინა ივანიშვილის ახლო კავშირები რუსულ პოლიტიკურ ელიტასთან. ივანიშვილი ქართველ იანუკოვიჩად გადაიქცაო და ევროპასა და აშშ-ს ხელმძღვანელობას მოუწოდა პერსონალური სანქციები დაუწესონ მას.

ᲩᲕᲔᲜᲖᲔ ᲮᲠᲘᲚᲘᲡ ᲑᲣᲖᲘᲕᲘᲗ ᲩᲐᲤᲠᲔᲜᲘᲚᲘ ᲝᲚᲔᲥᲡᲐ ᲐᲠᲔᲡᲢᲝᲕᲘᲩᲘ ᲙᲘ ᲪᲔᲪᲮᲚᲝᲕᲐᲜ ᲡᲐᲚᲐᲛᲡ (ᲛᲘᲡᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲘᲐᲗ!) ᲒᲕᲘᲗᲕᲚᲘᲡ ᲓᲐ ᲓᲔᲓᲐᲑᲣᲓᲘᲐᲜᲐᲓ ᲡᲣᲚ ᲙᲣᲠᲓᲦᲚᲔᲑᲡ ᲒᲕᲘᲬᲝᲓᲔᲑᲡ...

ᲐᲡᲔᲗᲘᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲜᲐᲪᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲘᲡ ᲞᲐᲢᲠᲘᲝᲢᲣᲚᲘ, ᲥᲐᲠᲗᲣᲚ-ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲣᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲓᲔ�გᲘ. სად მიგვიყვანს იგი ხვალ, ძნელი გამოსაცნობი არ არის. სააკაშვილის ოჯახიც კი ხელისუფლებას ულტიმატუმს უყენებს, თუ ორშაბათს საღამომდე მიშას ბადენ-ბადენში არ გადააბრძანებთ, მერე თქვენს თავს დააბრალეთო.

რა გაძლებს ორშაბათ საღამომდე?!

ᲐᲚᲔᲥᲝ ᲐᲡᲚᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲐ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲔᲚ ᲯᲐᲠᲘᲡᲙᲐᲪᲔᲑᲡ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐᲨᲘ ᲬᲕᲠᲗᲜᲘᲡ

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚᲛᲐ ინსტრუქტორებმა გერმანიასა და ევროპის სხვა ქვეყნებში უკრაინელი სამხედროების წვრთნა დაიწყეს, რათა მათ შეძლონ იმ სამხედრო აღჭურვილობის გამოყენება, რომელიც აგრესორისგან თავის დასაცავად გადაეცათ. ამის შესახებ პენტაგონის სპიკერმა ჯონ კირბიმ განაცხადა.

— ეს სასწავლო აქტივობები ეფუძნება საბაზისო საარტილერიო წვრთნებს, რომლებიც უკრაინის შეიარაღებულმა ძალებმა უკვე გაიარეს სხვაგან, ასევე მოიცავს სწავლებას რადარების სისტემებისა და ჯავშანტექნიკის მართვასთან დაკავშირებით, რომლის გადაცემაც ცოტა ხნის წინ გამოცხადდა უსაფრთხოების სფეროში დახმარების პაკეტის ფარგლებში“, — თქვა კირბიმ.

აქტივობებს კოორდინაციას უწევენ შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების ევროპისა და აფრიკის არმიის (UUSAREUR-AF) სარდლობა და გერმანია.

კირბის განცხადებით, ამერიკელი ინსტრუქტორების მიზანია, სწავლება იყოს სასარგებლო და კონსტრუქციული, მაგრამ არა დატვირთული, რადგან უკრაინელებს თავიანთ ქვეყანაში გაჩაღებული ომის გამო, არ აქვთ ხანგრძლივი დრო ვარჯიშებისთვის.

დნესტრისპირეთის დაბომბვას უკრაინას დააბრალებენ?!

(მეხუთე გვერდიდან)

მისი მთავარი მიზანი ოდესის და ნიკოლაევის დაკავებაა. ეს რუსებმა უკვე დააპნონსეს. ამიტომ გამორიცხული არაა, პირიქით, დასწრებაზე უკრაინა მუშაობდეს. ფრონტის ხაზის გახსნა თუნდაც მოლდოვაში ან საქართველოში ახლა რუსეთს რაში უნდა აწყობდეს, ვერ ვხვდები. ლოგიკურად თუ ვიმსჯელებთ ასეა, მაგრამ როგორც ვნახეთ, პუტინი ბოლო დროს ლოგიკას დიდად არ წყალობს, თუმცა თავში როდის რა მოუვა, კაცმა არ იცის“, – ამბობს მაისაია.

მისივე თქმით, საქართველოს არ უნდა ჰქონდეს იმის ილუზია, რომ თუკი სოხუმში ან ცხინვალში შევალთ, პუტინს არა აქვს იმის რესურსი, რომ წინააღმდეგობა გაგვიწიოს. ჩვენი პოტენციალი უკრაინულს ნამდვილად ჩამოუვარდება. უკრაინას სამჯერ მეტი სამხედრო ჰყავს და ახლა ისეთი შეიარაღება აქვს, მგონი რუსეთის შემდეგ რეგიონში ერთ-ერთი სერიოზულია, მაგრამ რუსებისთვის წინააღმდეგობის გაწევა მათაც კი უჭირთ, ბირთვულ შეიარაღებაზე რომ არაფერი ვთქვათ.

„მოლდოვა, კი ბატონო, ჩვენზე გაცილებით სუსტია და ფაქტობრივად, ჯარი არ ჰყავს. რუმინეთის იმედზე ყოფნა, ცოტა ფანტაზიაა, რადგან შესაძლოა, რუსეთის გამო დახმარებაზე თავი შეიკავოს. მეორეც, მოლდოვამ დნესტრისპირეთთან ურთიერთობა ძალიან კარგად ააწყო. იქ გადაადგილება და კომუნიკაცია ძალიან თავისუფალია. ჩვენ ასე აფხაზებთან და ოსებთან 2005 წლამდე ვიყავით. მერე კი ვითარება ძალიან დაგვეძაბა.

რაც შეეხება არესტოვიჩის განცხადებას საქართველოსთან დაკავშირებით, ერთი იმაში დავეთანხმები, რომ მართლაც, საკაშვილი და მისი პარტია ხელისუფლებაში რომ ყოფილიყვნენ, ახლა თბილისი ხარკოვივით და ოდესასავით მუდმივი დაბომბვის ქვეშ იქნებოდა. თუმცა იმაზე საუბარი, რომ რუსეთს ძალა არ შესწევს წინააღმდეგობა გაგვიწიოს, ილუზიაა. 58-ე ბატალიონის ნაწილები არსად არ წასულან. თან, მით უმეტეს აქვე მეზობლად სომხების და რუსების კოალიციური ჯარია. მარტო მათ შეუძლიათ ჩვენს თავდაცვის ძალებს წინააღმდეგობა გაუწიონ. ამას პლუს ავიაცია, რომლის გამოყენებაც და ჩვენი ქალაქების დანგრევა პუტინს ძალიან მარტივად შეუძლია“, – ამბობს მაისაია.

ლიკა ბერიკაშვილი

გაანადგურეს ორი სამეთაურო პუნქტი

უკრაინის პრეზიდენტის ოფისის ხელმძღვანელის მრჩევლის ალექსეი არესტოვიჩის განცხადებით, უკრაინის შეიარაღებულმა ძალებმა ქალაქ იზიუმთან რუსეთის ორი სამეთაურო პუნქტი გაანადგურეს.

მისი თქმით, განადგურებულია ასობით ჯარისკაცი, რომელთა შორის შესაძლოა, რუსი გენერალიც იყოს.

„ორი დარტყმა იზიუმზე, ერთი საჰაერო სადესანტო ძალების შტაბზე, მეორე კომბინირებული ძალების შტაბზე. ქვედა საზღვარზეც კი, ერთ ადგილას 100 გვამი, მეორეში 200, მესამეზე 100 მაინც... ზედა ზღვრად 200-300-ს ასახელებენ“, – განაცხადა არესტოვიჩმა.

გიორგი კალანდია: ჩვენს შედევრს უკვე მსოფლიოს ყველაზე დიდი აუდიტორია ათვალიერებს!

„ჯადოსნური ანარეკლი“ ბინას ზუგდიდში დაიდებს...

დავაბრუნეთ საბჭოთა პერიოდში საქართველოდან გატანილი არაერთი კულტურული ძეგლი, მათ შორის, ნაპოლეონ მესამის კარის მხატვრის ლუი მიულერის უნიკალური ტილო “ჯადოსნური ანარეკლი“.

საზოგადოებას ვამცნეთ სასიხარულო ამბავი. ერთ-ერთმა დიზაინერმა ფაქტი სასტიკად დაგმო, ნახატს „მეშჩანური ნიმუში, ჩვენს მუზეუმს კი „გუბერნიული ექსპოზიცია“ უწოდა...

მეგობრებო, მინდა წარმოგიდგინოთ ერთი ნათელი მაგალითი იმისა თუ რამდენ დაუმსახურებელ ტალახთან, ღვარძლთან და უმადურობასთან გვიწევს შეჯახება, როცა ვცდილობთ ჩვენი საქმე სიყვარულით და ენთუზიაზმით ვაკეთოთ...

რამდენიმე თვის წინ კულტურის სამინისტროს და პირადად მინისტრის მხარდაჭერით, სამშობლოში (ხელოვნების სასახლეში) დავაბრუნეთ საბჭოთა პერიოდში საქართველოდან გატანილი არაერთი კულტურული ძეგლი, მათ შორის იყო ნაპოლეონ მესამის კარის მხატვრის ლუი მიულერის უნიკალური ტილო „ჯადოსნური ანარეკლი“.

ამ ღირსშესანიშნავი მოვლენის შესახებ, რა თქმა, უნდა,პრეზენტაციაც მოვაწყვეთ და საზოგადოებას ვამცნეთ სასიხარულო ფაქტი..



ამის პარალელურად ერთ-ერთმა დიზაინერმა, ფაქტი სასტიკად დაგმო, ნახატს „ეშჩანური ნიმუში“, ჩვენს მუზეუმს კი – „გუბერნიული ექსპოზიცია“ უწოდა (იხილეთ თანდართულ ფოტოში მისი პოსტი) დიზაინერს, „ცნობილი ხელოვნებათმცოდნე“ ერთ-ერთი მუზეუმის ყოფილი დირექტორი აჰყვა და მანაც არანაკლები ლანძღვით შეგვამკო.

ამ დროს ჩვენი გუნდი საქმის კეთებას სიყვარულით მაინც აგრძელებდა...

ახალი შენაძენის შესახებ ფოტო მსოფლიოს ყველაზე დიდი და ავტორიტეტული კულტურული ინსიტუტის გუგლის სპეციალისტებს გავუგზავნეთ და შევთავაზეთ ამ ნახატის შესახებ ინფორმაცია ჩაეტვირთათ ვირტუალურ გამოფენაში „ერთი შედევრის ისტორია“...

გუგლის წარმომადგენლები შენაძენით აღფრთოვანდნენ და დღეს ეს დიდებული ნახატი ვირტუალურ სივრცეში განთავსდა!

ჩვენს შედევრს უკვე მსოფლიოს ყველაზე დიდი აუდიტორია ათვალიერებს... ნახატი გუგლის ობიექტივში კიდევ უფრო ლამაზი და მიმზიდველი მოჩანს... მისი მისამართით ნასროლი ღვარძლი და ბოროტება კი უშედეგო აღმოჩნდა, ამავე გვერდზე საგანგებო მადლობა განთავსდა ყველა იმ ადამიანისა და ინსტიტუციის მისამართით, ვინც ეს შედევრი სამშობლოში დააბრუნა და გამოფენა მოამზადა: მათ შორისაა კულტურის სამინისტრო და მისი ხელმძღვანელი, აქვე არიან: გამოფენის ავტორი მარიამ კიკვაძე, ჯგუფის წევრები: ნუცი კაჭახიძე და ირაკლი ზამბახიძე... ვულოცავ საქართველოს მისი მდიდარი წარსულის კიდევ ერთ საერთაშორისო აღიარებას, – წერს გიორგი კალანდია სოცქსელში.

ინფორმაციისთვის, „ლამაზი ანარეკლი“ – ხელოვნების სასახლემ დადიანების კუთვნილი ფერწერული ტილო მიმდინარე წლის იანვარში დაიბრუნა.

შარლ ლუი მიულერის მე-19 საუკუნის ნამუშევარი, რომელიც დადიანებმა პარიზიდან ჩამოიტანეს, საბჭოთა კავშირის დროს უცხოეთში აუქციონზე მიზერულ ფასად გაიყიდა. ლუვრის რამდენიმე დარბაზის დეკორატორის ნახატი თბილისიდან ლონდონში აღმოჩნდა. საბოლოო ბინას კი, ზეთში შესრულებული პორტრეტი, ზუგდიდში დაიდებს.

გვაქვს რესტავრირებული და სრულად შესწავლილი გულანი

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივის დოკუმენტების რესტავრაციის ლაბორატორიაში 2022 წლის 3 თვის განმავლობაში რესტავრაცია ჩაუტარდა 4700-ზე მეტ ფურცელს, 15 გაზეთი, დასრულდა XVI საუკუნის ხელნაწერის – გულანის – რესტავრაცია და სამეცნიერო შესწავლა.

რესტავრირებულ დოკუმენტებს შორის არის საისტორიო ცენტრალურ არქივსა და უახლესი ისტორიის ცენტრალურ არქივში დაცული საარქივო დოკუმენტები, მე-19 საუკუნის ფოტოალბომი, ამავე პერიოდის გაზეთები, ტექნიკური ნახაზები და სხვა.

გულანი, ანუ საღვთისმეტყველო-ლიტურგიკულ თხზულებათა კრებული, რომლის რესტავრაციაც დასრულდა და რესტავრატორებმა უკვე აკინძვაზე დაიწყეს მუშაობა, ლევან I დადიანს (1533-1572) ეკუთვნოდა. როგორც მინაწერებიდან ირკვევა, მოგვიანებით ხელნაწერი ქართლის კათალიკოს ნიკოლოზ ამილახორისშვილის ხელში მოხვდა. კათალიკოსმა გულანი 1706 წელს შიომღვიმის მონასტერს შესწირა. წიგნი ეროვნულ არქივში 1923 წელს შიომღვიმის მონასტრიდან გადმოიტანეს. ხელნაწერი შემკულია 12 მინიატურით – საუფლო დღესასწაულთა სცენებით.

ხელნაწერის რესტავრაცია და მისი მინიატურების საკონსერვაციო სამუშაოები წლების განმავლობაში მიმდინარეობდა. ამასთან, მოხდა ხელნაწერის სამეცნიერო შესწავლა. აღსანიშნავია, რომ რესტავრაციის პროცესში ერთ-ერთი მინიატურის ზურგზე აღმოჩნდა ქართლის კათალიკოს ნიკოლოზ ამილახორისშვილის მიერ სამთავრისის ეკლესიასთან დაკავშირებით შედგენილი დოკუმენტის დედანი. დადგინდა, რომ 1692-1695 წლებში შედგენილი საბუთი კათალიკოსის ავტოგრაფია.

ქაბაბის გამყიდველის ფოტო საუკეთესოა

საერთაშორისო ფოტოკონკურსის Pink Lady Food Photographer of the Year 2022 გამარჯვებულები დასახელდნენ. წელს კონკურსში, რომელიც უკვე 11 წელია ტარდება და საკვებისადმი არის მიძღვნილი, 60 ქვეყნიდან ათასობით ფოტოგრაფი მონაწილეობდა.

გამარჯვებულად კი ინდოელი ფოტოგრაფის დებდატა ჩაკრაბორტის ფოტო დასახელდა, რომელზეც ქუჩაში ქაბაბის გამყიდველია გამოსახული. ფოტოგრაფმა სურათი სრინაგარში, ქაშმირში გადაიღო.



უნიკალური ტერმინები, ეთნოგრაფიული მასალა და ენამოსწრებული გურულები

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერით გამოცემული ზურაბ შევარდნაძის წიგნის – „მობძანდი, შინ მობძანდი ნენა..“ პრეზენტაცია გურიის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა ბახვში, წიგნის ავტორის მშობლიურ სახლში გაიმართა.

ღონისძიებას კულტურის მინისტრი თეა წულუკიანი, მინისტრის პირველი მოადგილე კახა სიხარულიძე, ოზურგეთის მერი ავთანდილ თალაკვაძე, სახელმწიფო რწმუნებული გურიის მხარეში გიორგი ურუშაძე, საქართველოს პარლამენტის და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, ასევე, წიგნის მთავარი გმირები ესწრებოდნენ.

ზურაბ შევარდნაძის წიგნი „მობძანდი, შინ მობძანდი ნენა“ „კულტურის ხელშეწყობის“ პროგრამის ფარგლებში გამოიცა.

წიგნში ხანდაზმული და ღვაწლმოსილი გურულები თავად მოგვითხრობენ გურულ დიალექტზე, თავიანთი განვლილი ცხოვრებისა და გამოცდილების შესახებ. ავტორის მთავარი მიზანია მკითხველის დაინტერესება გურიით, ადგილობრივი კულტურით, ისტორიითა და იქ მცხოვრები ადამიანების ყოფით.

თეა წულუკიანმა ავტორს წიგნის გამოცემა მიულოცა და აღნიშნა, რომ ზურაბ შევარდნაძის მიერ გურულებთან ჩაწერილი საუბრები წიგნად რომ არ გამოცემულიყო, შესაძლოა, დაკარგულიყო უნიკალური ტერმინები და ის ეთნოგრაფიული მასალა, რომელიც თითოეულ მონათხრობშია. ამასთან, მინისტრმა აღნიშნა, რომ კულტურის სამინისტრო გეგმავს ასევე გამოსცეს ღორჯომის ხეობაში ზურაბ შევარდნაძის მიერ შეგროვებული სხვა უნიკალური მასალაც, რომელსაც ის ეთერ თათარაიძესთან ერთად ამჟამად ამუშავებს

ღონისძიების ფარგლებში, წიგნის პერსონაჟებმა მოწვეულ სტუმრებს თავიანთი შემოქმედება გააცნეს, შესრულდა მუსიკალური და ლიტერატურული ნომრები. ავტორთან, ზურაბ შევარდნაძესთან ერთად წიგნზე რედაქტორმა ეთერ თათარაიძემ და ფოტოგრაფმა ზაქარია ჭელიძემ იმუშავეს.

◎ ᲨᲗᲐᲒᲝᲜᲔᲑᲐ

თურმე, როგორი წყვილია...

დიახ, აწმყოში, რადგან ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებით გაჯერებული ის გრძნობა, რომელმაც ინტელექტუალთა აღნიშნული დუეტი დააკავშირა ერთმანეთთან, მარადიულია და მისი ერთ-ერთი წევრი, მიუხედავად შარშან ზეცად ამაღლებისა, როგორც ცოცხალი, მართალთა განსასვენებლიდან განაგრძობს რჩეულთან ერთად სულიერ თანაცხოვრებას.

პანდემიით გამოწვეული ორწლიანი შემოქმედებითი ვაკუუმის შემდეგ გაკვირვებული დავრჩით, როცა თითქმის გავსებულ კინოთეატრ „ამირანში“ შევედით, მაგრამ რადგან თანდათან ჩვენშიც იმსხვრევა ახლო წარსულის საამური ყოფის დროს დამკვიდრებული სტერეოტიპი – მთავარია რაოდენობა და არა ხარისხი – უპირველესად, შეკრებილთა მრავალსახეობამ და საზოგადოებაში მათმა ცნობადობამ გვიკარნახა, რომ რაღაც არაჩვეულებრივის მომსწრენი უნდა გავმხდარიყავით.

მართლაც, ტრადიციული ქართული ნახევარსაათიანი დაგვიანებით დაიწყო პროექტის „გთხოვთ მომიძღვნათ სასწაული“ დაუვიწყარი კულტურულ-შემეცნებითი ღონისძიება – ეკრანზე დაბადებული კონცერტი, რომელიც, სამწუხაროდ, ძალიან მალე დასრულდა, მაგრამ...

დარწმუნებულნი ბრძანდებოდეთ, დილამდე რომ გაგრძელებულიყო, აუდიტორია თანახმა იქნებოდა, მანამდე კი...

მართალია, **რამაზ ჭილაია** მხოლოდ ერთი კურსის განმავლობაში გვიკითხავდა ლექციებს, მაგრამ ეს მცირე პერიოდიც საკმარისი აღმოჩნდა, რომ კონკრეტულად ჩვენი და ზოგადად თაობათა საყვარელი ლექტორი გამხდარიყო. დაგვეთანხმებით, სავსებით ლოგიკურია, რომ ჭილაიათა მოდგმის ღირსეულ წარმომადგენელს წიგნიერება, უფროს-უმცროსთან თავისებურად განსაკუთრებული ურთიერთობის უნარი და კეთილშობილება გამოარჩევდა.

თურმე, ეს მხოლოდ ზღვაში წვეთი ყოფილა, მისი სრული პორტრეტის შესაქმნელად კი უკვდავების ბინადრობა ყოფილა საჭირო.

და აი, „სიყვარულის, მეგობრისა და ძმაკაცის“ გარდაცვალებიდან ათიოდე დღეში მისი 68 წლის მეუღლე, დედაქალაქის მე-6 საავტორო სკოლის ინგლისურის პედაგოგი, დეპარტამენტის ხელმძღვანელი და კათედრის გამგე **მანანა ბაქრაძე,** რომელსაც, სხვათა შორის, მუსიკალური შვიდწლედი დაუმთავრებია, მაგრამ ნოტების წერა არ იცის, იწყებს ტექსტებისა და ორენოვანი მელოდიების შექმნას. სასწაულია? რა თქმა უნდა.

არადა, ოკეანის გაღმა უმაღლესი განათლების მიმღები ფსიქოლოგისა და ენათმეცნიერის ხელოვნებასთან ზიარებისას ის უფრო გაგაოცებს კაცს, აქამდე რატომ არაფერი იყო ცნობილი, ყოველ შემთხვევაში – ფართო წრისთვის – ბობოქარი წყვილის ცხოვრების ბოჰემური სტილის შესახებ, რომელსაც ამერიკის შეერთებულ შტატებსა თუ კუბაში გატარებული ლამაზი „ჯაგაჯუგი“ ამშვენებს. სხვათა შორის, თურმე ქალბატონი მანანასადმი ბატონი რამაზის ერთ-ერთი საყვარელი მიმართვა სიტყვა „მელამაზები“ ყოფილა.

დაბოლოს: ზემოთ რამდენჯერმე წაიკითხეთ სასწაულად შეფასებული ფაქტების შესახებ და ნურც კომპანია „ZMG ART“ მიმართ დავიშურებთ მსგავს ეპითეტს, რამეთუ ზაზა მარჯანიშვილმა და მარინა სალუქვაძემ ჭეშმარიტ პროფესიონალთა გუნდთან თანამშრომლობით 2 თვეში 6(!) კლიპი ჩაწერეს. აღარაფერს ვამბობთ სალომე წულუკიძის, ლევან ჯაფარიძის, ანდრია გველესიანისა და მათ კოლეგათა უმაღლეს საშემსრულებლო ოსტატობაზე.

მოკლედ, მადლობა ძვირფასებო!

გია პლატონიშვილი,
გია გაბრიჭიძე

◎ ᲢᲐᲢᲐᲛᲖᲔ

ᲔᲗᲔᲠᲘᲡ ᲐᲠᲘᲐ ᲢᲐᲢᲝᲡ ᲰᲐᲜᲒᲔᲑᲖᲔ

ᲯᲘᲣᲯᲝᲘᲡᲢᲗᲐ ევროპის ჩემპიონატი ლაშა გუჯეჯიანის გაწვრთნილმა ფავორიტმა – საქართველოს ნაკრებმა ᲔᲗᲔᲠ ᲚᲘᲞᲐᲠᲢᲔᲚᲘᲐᲜᲘᲡ (57 კგ) მიერ მოპოვებული ბრინჯაოს მედლით გახსნა

სტარტზე „ჯვაროსანმა“ ზედიზედ ორი ბრძოლა კი მოიგო, მაგრამ

ნახევარფინალში მრისხანე ფრანგ მეტოქესთან დამარცხდა, რამაც მხოლოდ მესამე პრიზიორობის შანსი დაუტოვა, რომელიც ჩეხეთის წარმომადგენლის ძლევით რეალობად აქცია.

ასევე საპატიო კვარცხლბეკზე ასვლის კანდიდატებად მოვიაზრებდით ლუხუმ ჩხვიმიანს, ჯაბა პაპინაშვილსა (ორივე – 60 კგ) და ვაჟა მარგველაშვილს (66 კგ), მაგრამ ამჯერად ეს ტიტულოვანი კიმონოს ოსტატები უმედლოდ დარჩნენ.

ფორუმის მეორე დღეს, მართალია, ყველა უმაღლესი წოდების მფლობელმა ლაშა შავდათუაშვილმა (73 კგ) გაგვაწბილა, მაგრამ სამაგიეროდ ხარისხობრივად ფინალში გასულმა **ტატო გრიგალაშვილმა** (81 კგ) წაგვწია წინ. მან გადამწყვეტი შერკინება ბელგიელ კასეის მოუგო, რომელთანაც ძველი ანგარიშები ჰქონდა, მათ შორის რევანში მართებდა ტოკიოს ოლიმპიადაზე წაგებისთვის.

◎ ᲐᲣᲖᲖᲔ

ᲐᲠᲘᲡ „ᲝᲥᲠᲝ“!

ᲘᲕᲜᲘᲡᲨᲘ ჩინეთი მსოფლიოს უნივერსიადას უმასპინძლებს, ხოლო აგვისტოში იტალია – ევროპის ჩემპიონატს წყალში ხტომაში.

სწორედ მომავალი ფორუმების წინ გენერალურ რეპეტიციას წარმოადგენდა ბუდაპეშტის „დუნაი არენის“ აუზზე გამართული ტრადიციული პრესტიჟული საერთაშორისო ტურნირი 12 ქვეყნის 85 წარგზავნილის, მათ შორის ქართული ტრიოს (**თორნიკე ონიკაშვილი, სანდრო მელიქიძე** და ნაკრების დებიუტანტი **ირაკლი საკანდელიძე**) მონაწილეობით (გუნდის მწვრთნელი – საქართველოს სპორტის საწყლოსნო სახეობათა ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი **ირაკლი ბართაია**).

მით უფრო დასაფასებელია „ჯვაროსანთა“ მიერ სამმეტრიანი ტრამპლინიდან სინქრონულ ხტომებში მოპოვებული გამარჯვება ერთბაშად 20(!) ქულით გაუმჯობესებული პირადი რეკორდით, რაც მათ ზაფხულის უმნიშვნელოვანეს ასპარეზობებში ელიტაში დამკვიდრების საფუძვლიან ამბიციას უჩენს.

რომ არა მიკერძოებული მსაჯობა, თორნიკე ონიკაშვილი ერთმეტრიანი ტრამპლინიდან ინდივიდუალურ ხტომებშიც ააბიჯებდა საპატიო კვარცხლბეკზე, არადა მან 309 ქულით მე-5 ადგილი ისედაც დაიკავა და თანაც კონტინენტის პირველობაზე მოსახვედრად საკმარისი ნორმატივი – 300 ქულა გადაჭარბებით შეასრულა.

დავძენთ, რომ 20 წლის ირაკლი საკანდელიძემ 3-მეტრიანი ტრამპლინიდან ინდივიდუალურ ხტომებში მე-6 შედეგი აჩვენა.

◎ ᲚᲔᲒᲘᲝᲜᲔᲠᲘ

ᲘᲡᲔᲕ ᲒᲘᲝ!

ᲔᲡ�პᲐᲜᲔᲗᲘᲡ ლიგა ენდესას შარშანდელი სეზონის საუკეთესო მოთამაშის გიორგი შერმადინის წარმატება რომ შემთხვევითი არ ყოფილა, ამჯერადაც დასტურდება – „ტენერიფეს“ ლიდერი წლეულსაც აღნიშნულ პრესტიჟულ ნომინაციაში გამარჯვების რეალური კანდიდატია

ტრადიციული გამოკითხვა 28 აპრილს დაიწყო და 13 მაისს საღამოს დასრულდება, ხოლო მისი მონაწილეები ორგანიზატორებმა 3 პოზიციაზე დაასახელეს: უკანახაზელები, თავდამსხმელები და ცენტრები – თითოეულში 25-25 მოთამაშე. უცვლელია რჩეულის გამოვლენის წესიც – ქომაგებთან ერთად საკუთარ ფავორიტს უპირატესობას მიანიჭებენ მწვრთნელები, თვით კალათბურთელები და ჟურნალისტები, თითოეულ სეგმენტს კი 25-პროცენტიანი ძალა აქვს.

ᲡᲐᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲝ ᲛᲝᲖᲐᲘᲙᲐ

ᲐᲗᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘᲐᲜᲘ კონტრაქტი ხუთწლიანი ვადით ერთ სეზონში მილიონნახევრიანი ანაზღაურებით – ასეთია იმ ხელშეკრულების დეტალები, რომელსაც ზაფხულში, სატრანსფერო ფანჯრის გახსნისთანავე გააფორმებენ ერთმანეთთან ხვიჩა კვარაცხელია და „ნაპოლი“.

იტალიური გრანდის სპორტული დირექტორის კრისტიანო ჯუნტოლის შემდეგ აღნიშნული პროექტის ახლო მომავალში განხორციელების შესახებ უკვე კლუბის მფლობელმა და პრეზიდენტმა, გამოჩენილმა კინომაგნატმა აურელიო დე ლაურენტისმა განაცხადა პოპულარულ ადგილობრივ რადიოარხთან ინტერვიუში.

მეტიც – ამ დღეებში იქაურმა ქომაგებმა ქართველი ლეგიონერის გვარის წარმოთქმისას დაიწყეს ენის გატეხვა და მდგომარეობის გამოსასწორებლად სხვადასხვა შემოკლებული ვარიანტების განხილვას შეუდგნენ.

მოკლედ, ლორენცო ინსინიეს ღირსეული შემცვლელის დებიუტამდე მარადონას სახელობის სტადიონზე თვეებიღა დარჩა.

* * *

ᲐᲮᲚᲐᲮᲐᲜ ესპანეთის სამეფო თასის მფლობელის – სევილიის „ბეტისის“ საერთაშორისო აკადემიების ქსელს მექსიკასთან, ერაყთან, ზიმბაბვესთან, ალჟირთან და ამერიკის არიზონას შტატთან ერთად საქართველოც შეუერთდა.

ახალი სპორტული პროექტი 5-დან 18 წლამდე ასაკის 200 ფეხბურთელზეა გათვლილი და იგი ხელს შეუწყობს ჩვენს ქვეყანაში ყველაზე პოპულარული სახეობის განვითარებას, ახალგაზრდები კი ანდალუზიელთა გამოცდილებას გაეცნობიან.

„მომავალი ცენტრი ბინას თბილისის ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლაში დაიდებს, პერსპექტივაში კი პროექტის განხორციელებას არც სხვა ქალაქებში გამოვრიცხავთ“ – აცხადებს საქართველოში მისი ტექნიკური დირექტორი **გიორგი ჩანადირი.**

დავძენთ, რომ ჩვენში უკვე დაარსდა აგრეთვე „ინტერისა“ და „ვილიარეალის“ ფილიალები, „საბურთალო“ „ვალენსიასთან“ თანამშრომლობს, ხოლო გიორგი ქინქლაძე „მანჩესტერ სიტის“ აკადემიის გახსნას აპირებს.

* * *

ᲗᲣ „რეალი“, „ბარსელონა“ და „იუვენტუსი“ ევროპის სუპერლიგის შექმნის მცდელობისთვის დაკისრებული სანქციის – 15 მილიონი ევროს ოდენობის ჯარიმის, აგრეთვე ერთ სეზონში ევროტურნირებიდან მიღებული შემოსავლის 5 პროცენტის გადახდაზე იტყვიან უარს, შესაძლოა აღნიშნული კლუბები 2023-2024 წლების ჩემპიონთა ლიგის მიღმა დარჩნენ – იუწყება იტალიური პრესა.

აქამდე მსგავსი ზომები უეფამ ჩავარდნილი პროექტის 9 დანარჩენი მონაწილე ბობოლა კლუბის მიმართაც მიიღო.

* * *

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ მოსალოდნელი იყო, აგრესორ რუსეთთან სამამულო ომში ჩაბმული უკრაინის ჩემპიონატი იქაური პრემიერლიგის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით ვადამდე გამოცხადდა დასრულებულად და ქვეყნის ჩემპიონად დონეცკის „შახტარი“ აკურთხეს, რომელიც 18 ტურის შემდეგ 47 ქულით ლიდერობდა.

* * *

ᲔᲡ�პᲐᲜᲣᲠ ლა ლიგაში გასულ უქმეებზე კიდევ ერთხელ გაიბრწყინა „ვალენსიას“ ქართველმა მეკარემ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲛᲐᲛᲐᲠᲓᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ, რომელმაც „ლევანტესთან“ ფრედ – 1:1 დასრულებულ შეხვედრაში მეტოქის 5 დარტყმა მოიგერია და მატჩის საუკეთესო მოთამაშედ მიიჩნიეს.

პარკირების წესების დარღვევისთვის ჯარიმები იზრდება!

დედაქალაქში საპარკინგე ადგილების მწვავე დეფიციტია

იმისთვის, რომ ქვეითები არ დაზარალდნენ და მოძრაობა უფრო კომფორტული გახდეს, მთავრობა სადამსჯელო ღონისძიებებზე გადადის.

გამოდის, რომ „სითი პარკი“ რისთვისაც დედაქალაქიდან გააძევეს, იმავე გზას ადგას „თბილისის პარკინგი“, რომლის საქმიანობა სატრანსპორტო მანქანების მძღოლებს უკვე ცალმხრივად პრობლემას უქმნის. ცვლილებებზე, რომელიც საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში უნდა შევიდეს, დედაქალაქის მერმა **კახა კალაძემ** თბილისის მთავრობის ბოლო სხდომაზე ისაუბრა: **„ჩვენ გვაქვს ქალაქში პრობლემები გარკვეული მიმართულებით. ეს არის პარკირებასთან დაკავშირებული პრობლემები. გვინდა ეს ყველაფერი დარეგულირდეს. ვინაიდან ჩვენი სატრანსპორტო პოლიტიკა მოიცავს ამ ყველაფერს, გარკვეული ცვლილებები განხორციელდება კანონში ჯარიმების გაზრდის თვალსაზრისით. რა თქმა უნდა, ჯარიმები არავის უხარია, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს აუცილებელია იმისთვის, რომ ქალაქში წესრიგი იყოს“,** — განაცხადა კალაძემ.

რაც შეეხება სანქციებს, „ქართული ოცნების“ წევრის **ბექა დავითულიანის** განცხადებით, ტროტუარზე მანქანის პარკირება დაექვემდებარება დაუყოვნებლივ ევაკუაციას.

„მსუბუქი მანქანისთვის გამოყოფილ პარკინგზე ტრაილერის, ავტობუსის და სხვა შეუსაბამო ტიპის სატრანსპორტო საშუალების გაჩერება გამოიწვევს ჯარიმას 100 ლარის ოდენობით. იმავდროულად, ზონალური პარკირების სისტემის დანერგვამ განაპირობა ამკრძალავი ნიშნის დაუცველობის და პარკირების წესის დარღვევაზე ჯარიმის 10-დან 50 ლარამდე გაზრდის საჭიროება“, — აღნიშნა დავითულიანმა.

გარდა ამისა, უქმდება მანქანის საქარე მინაზე ჯარიმის ოქმის დატოვების წესი — სამართალდამრღვევს ოქმს გაუგზავნიან სტანდარტული წესით და, ამავდროულად, მიუვა სმს შეტყობინება. ამასთან, ავტომობილის მოძრაობა ველოსიპედის ბილიკზე, დგომა ან გაჩერება, ტაქსის პარკირების ადგილზე გაჩერება, სატრანსპორტო საშუალების გზაზე მიტოვება, ელექტროძრავიანი სატრანსპორტო საშუალების დამუხტვის ადგილზე პარკირება, შშმ პირებისთვის განკუთვნილ ადგილზე პარკირება, გამოიწვევს დაჯარიმებას არსებული 50 ლარის ნაცვლად, 100 ლარით. დგომა-გაჩერების წესის დარღვევა ან პარკირების ადგილზე მანქანის გაჩერება, როცა მას შესაბამისი თანხა გადახდილი არ აქვს, 10 ლარის ნაცვლად, 50 ლარით დაჯარიმდება.

თუმცა, აღსანიშნავია ისიც, რომ ხშირია შემთხვევები, როდესაც კანონდამრღვევები სწორედ თბილისის მერიის მუნიციპალური სამსახურის თანამშრომლები არიან. მათი ავტომობილები გვხვდება როგორც დგომა აკრძალულია ნიშნებთან, ასევე ზებრა გადასასვლელსა, თუ ტროტუარებზე. სწორედ აღნიშნულ საკითხზე ამახვილებს ყურადღებას „საქართველოს ალიანსი უსაფრთხო გზებისთვის“ თავმჯდომარე და განმარტავს, თუ როგორ უნდა მოიქცნენ მოქალაქეები, როდესაც მსგავს შემთხვევას წააწყდებიან.

„ნებისმიერი, ვინც დაარღვევს კანონს, სათანადოდ უნდა იყოს პასუხგაცემული კანონმდებლობით და კარგია, რომ ამაზე ვსაუბრობთ. პირველ რიგში, ადამიანებში უნდა იყოს სამართლიანობის განცდა, იმისთვის, რომ მე წავხალისდე, დავიცვა კანონი და ვიგრძნო, რომ ამით კარგ საქმეს ვაკეთებ. მოქალაქეს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, დარეკოს 112-ში და მოხდეს სწრაფი რეაგირება. მათ შორის ევაკუატორით გადაყვანა, თუ მსგავსი ტიპის დარღვევას დაადასტურებენ“, — განაცხადა **ეკა ლალიაშვილმა**.

არდავიწყება

ლონდა მდივანი

ფილოსოფიის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი ლონდა მდივანი დაიბადა ქუთაისში 1930 წლის 20 ივნისს. ოთხი წელიწადი ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოლოგიის ფაკულტეტის ლოგიკა-ფსიქოლოგიის განყოფილებაზე სწავლობდა. სტუდენტობის პერიოდში იყო ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელობის სტიპენდიატი, 1951 წელს, პედინსტიტუტის დამთავრების შემდეგ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურაში ჩაირიცხა ლოგიკის სპეციალობით. ცნობილი ქართველი ფილოსოფოსის კოტე ბაქრაძის ხელმძღვანელობით 1960 წელს წარმატებით დაიცვა დისერტაცია და ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი მიენიჭა. რესპუბლიკური და საკავშირო სამეცნიერო კონფერენციების მონაწილე, ერთი მონოგრაფიისა („მიმართებათა ლოგიკის საკითხისათვის“, 1960) და მრავალი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი წლების განმავლობაში თბილისის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტსა და თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში, საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის, აგრეთვე პოლიტექნიკურ ინსტიტუტებში მასწავლებლობდა.

1970 წლიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიული მატერიალიზმის კათედრაზე დოცენტის თანამდებობაზე დაინიშნა. აქედან მოყოლებული მისი სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობა უფრო ნაყოფიერი გახდა. არაერთ სტუდენტსა თუ ასპირანტს გაუკვალა და დაულოცა გზა ფილოსოფიის მეცნიერებათა მწვერვალებისკენ. ლონდა მდივანი წლების განმავლობაში თსუ-სთან არსებული ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მიმნიჭებელი სპეციალიზებული საბჭოს სწავლული მდივანი გახლდათ.

სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობასთან ერთად ქალბატონი ლონდა აქტიურად თანამშრომლობდა რესპუბლიკურ ჟურნალ-გაზეთებში, ხშირად ეხმიანებოდა ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ მნიშვნელოვან მოვლენებს. განსაკუთრებით ბოლო წლებში ახლო ურთიერთობა ჰქონდა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკასთან“.

ამაგდარი ადამიანი ლონდა მდივანი რამდენიმე დღის წინათ 92 წლისა გარდაიცვალა. ჩვენი გაზეთის რედაქცია თანაუგრძნობს და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს!

„საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია

ბიუჯეტის შემოსავლების არის მრავლობა?!

პირადობის ელექტრონული მოწმობის ღირებულება - 30 ლარიდან 60 ლარამდე, ბიომეტრიული პასპორტის კი 100 ლარიდან 150 ლარამდე იზრდება

საზღვარგარეთ მყოფ საქართველოს მოქალაქეზე წარმომადგენლის მეშვეობით საქართველოს მოქალაქის ბიომეტრიული პასპორტის განაცხადის შეტანიდან: მე-10 სამუშაო დღეს გაცემისათვის — მომსახურების საფასური — 230 ლარი; მე-5 სამუშაო დღეს გაცემისათვის — მომსახურების საფასური — 230 ლარი და დაჩქარებული მომსახურების საფასური — 70 ლარი.

სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო გაწეული მომსახურებისთვის დაწესებული საფასურების ოდენობებს ცვლის. შესაბამისი დადგენილება საქართველოს მთავრობამ უკვე მიიღო.

საქართველოს მოქალაქის ბიომეტრიული პასპორტის და საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირის ბიომეტრიული სამგზავრო პასპორტის მიღებისთვის საფასური შემდეგი ოდენობით განისაზღვრა:

მე-10 სამუშაო დღეს გაცემისათვის — მომსახურების საფასური — 150 ლარი;

მე-5 სამუშაო დღეს გაცემისათვის — მომსახურების საფასური — 150 ლარი და დაჩქარებული მომსახურების საფასური — 30 ლარი;

მე-3 სამუშაო დღეს გაცემისათვის — მომსახურების საფასური — 150 ლარი და დაჩქარებული მომსახურების საფასური — 75 ლარი;

მე-2 სამუშაო დღეს გაცემისათვის — მომსახურების საფასური — 150 ლარი და დაჩქარებული მომსახურების საფასური — 150 ლარი;

იმავე დღეს გაცემისათვის — მომსახურების საფასური — 150 ლარი და დაჩქარებული მომსახურების საფასური — 200 ლარი.

მომსახურების ვადები და საფასურების განაკვეთები საქართველოს მოქალაქის 1 წლის ვადით მოქმედი 32-გვერდიანი პასპორტის განაცხადის შეტანიდან:

მე-10 სამუშაო დღეს გაცემისათვის — მომსახურების საფასური — 65 ლარი;

მე-5 სამუშაო დღეს გაცემისათვის — მომსახურების საფასური — 65 ლარი და დაჩქარებული მომსახურების საფასური — 30 ლარი;

მე-3 სამუშაო დღეს გაცემისათვის — მომსახურების საფასური — 65 ლარი და დაჩქარებული მომსახურების საფასური — 65 ლარი;

მე-2 სამუშაო დღეს გაცემისათვის — მომსახურების საფასური — 65 ლარი და დაჩქარებული მომსახურების საფასური — 120 ლარი;

იმავე დღეს გაცემისათვის — მომსახურების საფასური — 65 ლარი და დაჩქარებული მომსახურების საფასური — 140 ლარი.

საქართველოს მოქალაქის 1 წლის ვადით მოქმედი ბიომეტრიული პასპორტის განაცხადის შეტანიდან:

მე-10 სამუშაო დღეს გაცემისათვის — მომსახურების საფასური — 130 ლარი;

მე-5 სამუშაო დღეს გაცემისათვის — მომსახურების საფასური — 130 ლარი და დაჩქარებული მომსახურების საფასური — 30 ლარი;

მე-3 სამუშაო დღეს გაცემისათვის — მომსახურების საფასური — 130 ლარი და დაჩქარებული მომსახურების საფასური — 65 ლარი;

მე-2 სამუშაო დღეს გაცემისათვის — მომსახურების საფასური — 130 ლარი და დაჩქარებული მომსახურების საფასური — 120 ლარი;

იმავე დღეს გაცემისათვის — მომსახურების საფასური — 130 ლარი და დაჩქარებული მომსახურების საფასური — 140 ლარი.

მომსახურების ვადები და საფასურების განაკვეთები საზღვარგარეთ მყოფ საქართველოს მოქალაქეზე წარმომადგენლის მეშვეობით 32-გვერდიანი პასპორტის განაცხადის შეტანიდან:

მე-10 სამუშაო დღეს გაცემისათვის — მომსახურების საფასური — 140 ლარი;

მე-5 სამუშაო დღეს გაცემისათვის — მომსახურების საფასური — 140 ლარი და დაჩქარებული მომსახურების საფასური — 65 ლარი.

საზღვარგარეთ მყოფ საქართველოს მოქალაქეზე წარმომადგენლის მეშვეობით საქართველოს მოქალაქის ბიომეტრიული პასპორტის განაცხადის შეტანიდან:

მე-10 სამუშაო დღეს გაცემისათვის — მომსახურების საფასური — 230 ლარი;

მე-5 სამუშაო დღეს გაცემისათვის — მომსახურების საფასური — 230 ლარი და დაჩქარებული მომსახურების საფასური — 70 ლარი.

ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის განაცხადის შეტანიდან 10 სამუშაო დღის ვადაში გაცემისათვის — მომსახურების საფასურის განაკვეთი 45 ლარია.

ერთ-ერთი კანონიერი წარმომადგენლის თანხმობით საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის საკითხის განხილვისა და განცხადების შეტანიდან ერთი თვის ვადაში შესაბამისი გადაწყვეტილების მომზადებისათვის — მომსახურების საფასური — 50 ლარი იქნება.

მომსახურების შემდეგი საფასური მოქმედებს საქართველოს მოქალაქის პირადობის ელექტრონული მოწმობის, საქართველოში მუდმივად მცხოვრები უცხოელისა და საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირის ბინადრობის ელექტრონული მოწმობების განაცხადის შეტანიდან:

მე-10 სამუშაო დღეს გაცემისათვის — მომსახურების საფასური — 60 ლარი;

მე-5 სამუშაო დღეს გაცემისათვის — მომსახურების საფასური — 60 ლარი და დაჩქარებული მომსახურების საფასური — 20 ლარი;

მე-3 სამუშაო დღეს გაცემისათვის — მომსახურების საფასური — 60 ლარი და დაჩქარებული მომსახურების საფასური — 40 ლარი;

მე-2 სამუშაო დღეს გაცემისათვის — მომსახურების საფასური — 60 ლარი და დაჩქარებული მომსახურების საფასური — 60 ლარი.

იმავე დღეს გაცემისათვის — მომსახურების საფასური — 60 ლარი და დაჩქარებული მომსახურების საფასური — 90 ლარი.

საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის, საქართველოში მუდმივად მცხოვრები უცხოელისა და საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირის ბინადრობის მოწმობების განაცხადის შეტანიდან მე-10 სამუშაო დღეს გაცემისთვის მომსახურების საფასური 60 ლარია.

გარდა ამისა, კანონმდებლობით დადგენილ ვადაში განქორწინების რეგისტრაციისა და მოწმობების გაცემისათვის — მომსახურების საფასური 60 ლარი იქნება.

ცვლილებები შეეხება სახელის, გვარის შეცვლის რეგისტრაციისთან და სხვა მთელ რიგ სერვისებთან დაკავშირებულ საფასურებს.

დედაქალაქის შადრევნები ჩაირთო

დედაქალაქში მოქმედი შადრევნები ჩაირთო. ყველა შადრევანი ყოველი წლის პირველი მაისიდან ირთვება და ქალაქს ნოემბრის ბოლომდე ალამაზებს. ინფორმაციას თბილისის მერია ავრცელებს.

მიმდინარე წელს დედაქალაქს შადრევნები ვარკეთილის 3-ის III ა მიკრორაიონში, №325 კორპუსის მიმდებარედ არსებულ სკვერში, ვარკეთილის ხევში, გლდანის მერვე მიკრორაიონში არსებულ სკვერში და რიგის ბაღში შეემატა. გარდა ამისა, ბუკიას ბაღში, გელოვანის პარკში, წერეთლის ბაღსა და ნუცუბიძის მესამე პლატოზე მდებარე სკვერში არსებულ შადრევნებს რეაბილიტაცია ჩაუტარდა. თბილისში არსებული 50-ზე მეტი შადრევნის მოვლა-პატრონობას შპს „ეკოსერვის ჯგუფი“ უზრუნველყოფს, ხოლო შადრევნების ნაწილი რაიონული გამგეობების დაქვემდებარებაშია.

უკრაინა 5,5 მილიონამდე ლტოლვილმა დატოვა

29 აპრილის მდგომარეობით უკრაინა 5 468 629 ადამიანმა დატოვა. ლტოლვილთა უმეტესობა — სამ მილიონზე მეტი ადამიანი პოლონეთში გადავიდა, შემდეგ მოდიან: რუმინეთი, რუსეთი, უნგრეთი, მოლდოვა, სლოვაკეთი და ბელარუსი.

ამასთან, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მონაცემებით, დამატებით 7,7 მილიონი ადამიანი უკრაინის ტერიტორიაზე იქცა იძულებით გადაადგილებულ პირად. ორგანიზაციაში განმარტავენ, რომ აღნიშნულ პირებს უკრაინა არ დაუტოვებიათ, თუმცა ომის გამო საკუთარი სახლების მიტოვება მოუწიათ

ანჯელინა ჯოლი უკრაინაში დაზარალებულ ბავშვებს ხვდება

ამერიკელი მსახიობი ანჯელინა ჯოლი ლვოვში, უკრაინაში, ომის შედეგად დაზარალებულ ბავშვებს შეხვდა. მათ შორის იყვნენ მარიუპოლიდან ევაკუირებული ბავშვები, ასევე, მოხალისეები და ექიმები.

„ომის გავლენა უკრაინელი ბავშვების თაობაზე დამღუპველია. არცერთ ბავშვს არსად არ უნდა უწევდეს სახლიდან გაქცევა, ისინი არ უნდა იყვნენ საყვარელი ადამიანების მკვლელობის მომსწრეები და არ უნდა იხილონ დაბომბვა და სახლების ნგრევა. თუმცა, ამდენი ბავშვისთვის უკრაინასა და მსოფლიოში, ეს უკვე რეალობაა“, — აცხადებს მსახიობი.

ძაღლის ხასიათი მის ჯიშზე არაა დამოკიდებული

ასეთ დასკვნამდე მასაჩუსეტსის უნივერსიტეტის მეცნიერები მივიდნენ. კვლევის ავტორებმა 78 ჯიშის 2100 ძაღლის გენომი შეისწავლეს და გამოკითხეს 18,3 ათასი ძაღლის პატრონი, რომლებსაც საკუთარი ძაღლების ხასიათის 8 მთავარი თვისება უნდა დაესახელებინათ.

შედეგებმა აჩვენა, რომ ხასიათის თვისებების მხოლოდ 9% გამომდინარეობს კონკრეტული ჯიშისადმი კუთვნილებით, 90%-ზე მეტი კი გენებში სხვადასხვა დროს მომხდარ მუტაციებს უკავშირდება.

სამსახურის გაცდენის სანაცვლოდ... ასი ათასი დოლარი!

აშშ-ში, მერილენდში მცხოვრები კაცი სამსახურისკენ მიმავალ გზას ადგა, როცა იფიქრა, რომ იმ დღეს სამუშაო ადგილზე მისი ყოფნა აუცილებელი არ იყო, დასვენების დღე აიღო და, სამსახურის ნაცვლად, მაღაზიაში შევიდა. ე.წ. გადასაფხეკი ბილეთის ყიდვის შემდეგ, 58 წლის კაცმა $100,000 მოიგო.

როგორც გამარჯვებული ამბობს, თანხას ოჯახს მოახმარს და, შესაძლოა, დასვენებაც მოიწყოს. მაღაზია, რომელმაც ბილეთი გაყიდა, $1,000-ს მიიღებს.

ამერიკელი ვუნდერკინდი



აშშ-ის ქალაქ სენტ-ლუის-პარკში მცხოვრებმა 13 წლის ბიჭმა მინესოტის უნივერსიტეტი დაასრულა და გადაწყვიტა, რომ პროფესორი გახდეს. ელიოტ ტენერი სწავლას მაისში დაასრულებს და ბაკალავრის ხარისხს მიიღებს. მან ფიზიკის ფაკულტეტზე ისწავლა და მისი შემდეგი მიზანი დოქტორის ხარისხის მოპოვებაა. ამასთან, ელიოტი იმედოვნებს, რომ მინესოტის უნივერსიტეტის პროფესორი გახდება.

ვუნდერკინდის დედის თქმით, მისმა შვილმა კითხვა 2-3 წლის ასაკში, დამოუკიდებლად ისწავლა. 9 წლისა ის კოლეჯის წიგნებს კითხულობდა, 2 წლის შემდეგ კი ნორმანდეილის საზოგადოებრივი კოლეჯი დაამთავრა.

ქალი საკუთარ კატაზე დაქორწინდა

49 წლის დებორა ჰოჯი და მისი ოთხფეხა მეგობარი ინდია, ქალის მეგობარმა შეაუღლა. ამასთან, დებორა ამბობს, რომ მის უჩვეულო საქციელს სავსებით ლოგიკური ახსნა აქვს. კერძოდ, წლების განმავლობაში ის სხვადასხვა ბინაში ცხოვრობდა, რომელთა მფლობელებიც სახლებში შინაური ცხოველების შეშვების წინააღმდეგები იყვნენ. ამიტომ, ქალს 2 ძაღლისა და 1 კატის გასხვისება მოუწია. წინააღმდეგ შემთხვევაში, მას გასახლება ემუქრებოდა.

დებორა მიიჩნევს, რომ ინდიასთან ქორწინება მის მომავალ ბინათმფლობელებს დაარწმუნებს იმაში, რომ ქალსა და კატას შორის ძლიერი კავშირია და მათი დაშორება არ შეიძლება.

რაც მოგივა დავითაო... ინდურად

ინდოეთში, მაჰარაშტრას შტატში სიძეს ქორწილში დააგვიანდა, რის გამოც პატარძალმა თავის ნათესავზე იქორწინა. ალკოჰოლური ზემოქმედების ქვეშ მყოფ სიძეს ქორწილში დააგვიანდა, რის შემდეგაც პატარძლის მამამ შვილს ახალი საქმრო სტუმრებიდან შეურჩია.

საქორწილო ცერემონია ადგილობრივი დროით 16:00 საათზე უნდა დაწყებულიყო, სიძე კი ადგილზე მხოლოდ 20:00 საათზე გამოცხადდა.

„ვინაიდან ქორწილისთვის ყველაფერი უკვე მზად იყო, ჩვენ შვილი ერთ-ერთ ნათესავზე გავათხოვეთ“, — ამბობს პატარძლის დედა.

აუზში ჭყუმპალაობა ძვირად დაუჯდა

დიდ ბრიტანეთში მაშველებმა აუზიდან სპეციალური აღჭურვილობის გამოყენებით ამოიყვანეს ძროხა, რომელიც ფერმის ტერიტორიაზე მდებარე საძოვრიდან გაიპარა და ახლოს მდებარე სახლის ეზოში, აუზში ჩახტა. 600-კილოგრამიანმა ცხოველმა აუზში 4 საათი გაატარა.

ძროხა ადგილობრივი ფერმერის საკუთრებაა და ის უკვე დაუბრუნეს პატრონს.

ი. ჟორდანიას და ა. ხომასურიძის რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტი აგრძელებს მუშაობას მისამართზე- თევდორე მღვდლის,13 ა,VII სართული. ტელ.224 00 99; 224 00 98.
მალე გაიხსნება ქირურგიული და ინ ვიტრო განყოფილებები. გისურვებთ ჯანმრთელობას!

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ჟურნალ-გაზეთი №17ი
მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
599 36-00-35
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24
გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება სტამბა „კოლორში“
ე. გაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი
uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
2 009882 616932
ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 4 მაისს

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 3.0591; ევრო - 3.2338
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.8471;
100 რუბლი - 4.1294; თურქული ლირა - 0.2063;
აზერბაიჯანული მანათი - 1.8047;
1000 სომხური დრამი - 6.8264.

ამინდი 2 მაისისთვის
აღმოსავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +8, დღე +18
მთიანი რაიონები - ღამე +5, დღე +15
დასავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +7, დღე +17
მთიანი რაიონები - ღამე +4, დღე +14
თბილისი: ღამე +11, დღე +16

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-79-76-79, 599-36-00-35
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge